

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ფეიქურით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისაბაზე უსაბაგლესია.



დაარსებულია
1918 წელს.



შაბათი, 10 ნოემბერი, 2012 წელი.

№217 (7093)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ერთი კვირა, როგორცაა ცხრა წელი ვადრდით



ნუგზარ წიკლაური შენობიდან გამოვიდა და იქ შეკრებილ საზოგადოებას ახარა: საქართველოში გაჩნდა პირველი პოლიტიკატიმარიო! აკომ მანქანის კაპოტზე შამპანიური გახსნა — ეს ერთი და სხვა მრავალიო, და თუთბერიძეს პლასტმასის ჭიქა მიანოდა. ხერხეულიძემ და ოჩიაურმა თეა გადაკოცნეს და „სნიკერსები“ დაყარეს. თუთბერიძემ მორცხვად დახარა თავი და გმადლობთო ჩაიჩურჩულა“.

4

პრეზიდენტი გამჭვირვალდა!

უღირსი პრეზიდენტისგან ღირსების ორდენს ვერ მივიღებდი!

9

ბასა უბრეზა ჭიშკართან



11

მოკვდა თუ მოკლეს ადვირალი?

გიგლა ირემაძის ქვრივი გეულის ბარდასვალების მიზაზების გამოძიებას ითხოვს

4

მსოფლიო ბზარზე ნავთობი იაფდება, ჩვენთან კი...



ვფყოა, ვენავთობეებს შიშა გაღაუარა, რაკი უფრო გამომწვევად იქცევიან

თბილისში სოციალური პროექტების შეფუვების საკითხს პროკურატურა შეისწავლის

2

ღაიწყება გამოძიება ლაფანურის ოპერაციის საქმეზე?




კვირაპალს საკითხავი

სულგანაბული, ყურს უგდებს მრეფელი, ნათლით მოსილს და სივეთის მთესველს. თქნობინია, მტენსაც ან წყევლის, თავს საქართველოს შეწინავეს დღესვე.

6

მუღამ ქვეყნის გვერდით...

კასი, როგორცაა წლები დაამარცხა



5

ქვეყნის კათარზისი

ბაჩო ახალაიას წინასწარი პატივმოება უეჭვარა, კალანდაძესა და შამათაძეს ბიძროს სანაცვლოდ გაათავისუფლებენ

ბაჩო ახალაიას აღმკვეთ ღონისძიებად პატივმოება შეეფარდა, ხოლო გიორგი კალანდაძესა და ზურაბ შამათაძეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 20-20 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლებენ.



პროკურატურის მხრიდან სამივე პირისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატივმოება იყო მოთხოვნილი, თუმცა ადვოკატების შუამდგომლობებში გიორგი კალანდაძისა და ზურაბ შამათაძეს შემთხვევაში დაკავშირებული ადვოკატები ითხოვენ შამათაძე

და კალანდაძე თავდებობით გაეთავისუფლებინათ. მათი ალტერნატიული შუამდგომლობა კი, სწორედ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება იყო.

პროკურატურას წარმოადგინდნენ პროკურორები გიორგი ცხოვრებაძე და გრიგოლ შამიაშვილი. ბაჩო ახალაიას პროცესზე იცავდა სამი ადვოკატი — დავით დეკანოიძე, ბაჩუკი ყურაშვილი და იოსებ ჯანაშია. ზურაბ შამათაძეს ადვოკატი იყო დავით დეკანოიძე, ხოლო გიორგი კალანდაძის ინტერესებს ადვოკატი გიგია გაბაიძე იცავდა.

წინასასამართლო პროცესი 25 დეკემბრის 15 საათისთვის არის ჩანიშნული. თავდაცვისა და შსს-ს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიორგი კალანდაძე და მე-4 ბრიგადის მეთაური ზურაბ შამათაძე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით 7 ნოემბერს დააკავეს.

ინტერპრესნიუსი

ვიზიტი

ბიძინა ივანიშვილი ანდერს ფოგ რასმუსენს 14 ნოემბერს შეხვდება

12-14 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრება.

ამის შესახებ მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიაა ფანჯიკიძემ განუცხადა.

მისი განმარტებით, 14 ნოემბერს გაიმართება ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან, რომელშიც ასევე მონაწილეობას მიიღებენ თავად მიაა ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიანი.

რაც შეეხება ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტის გადადებას, ფანჯიკიძის განმარტებით, ამ საკითხზე კომენტარი თავდაცვის სამინისტროს პრეზენტაციასა და, შესაბამისად, მან ამ საკითხის კომენტარებისას თავი შეიკავა.

ნატოს სამხედრო კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი იმის გამო გადაიდო, რომ მასპინძელი უწყების, ანუ გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის ვინაობა

ჯერ გარკვეული არ არის. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

— ბუნებრივია, ეს არის დროებითი, ვიდრე არ მოხდება მთავრობასა და ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს შორის შეთანხმება, ვინც არის პასუხისმგებელი გაერთიანებული შტაბის უფროსის დანიშვნაზე, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ შეთანხმება მალე შედგება და კომპრომისული გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული.

— ამის შემდეგ, ვინაიდან გაერთიანებული შტაბი არის ნატოს სამხედრო კომიტეტის მთავარი მასპინძელი მხარე, მოკლე დროში გადაწყდება საკითხი ამ ვიზიტის ჩატარების შესახებ. საქართველოსა და ნატოს შორის იმდენად მნიშვნელოვანი პროექტებია, იმდენად ვითარდება თანამშრომლობა, რომ კონკრეტულ გაუგებრობასთან დაკავშირებული თემის გამო შეფერხება ვერ იქნება, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ინფორმაცია

თბილისში სოციალური პროექტების შეწყვეტის საკითხს პროკურატურა შეისწავლის

— ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მისი განმარტებით არსებობს თბილისის მერიის 12 ოქტომბრის მოთხოვნა, რომელშიც მერია საკრებულოს ხარჯების შემცირების თხოვნით მიმართავს. ხადურის განმარტებით, მოთხოვნას ხელს აწერს ვიცე-მერი ალავეგი და მასში საუბარია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, ქალაქის კეთილმოწყობის, პროექტ „ქველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ და სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირებაზე.



— სამაგიეროდ იზრდება მერიის ადმინისტრაციის ასიგნება, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის, რომელიც მერიას საკუთარი პოლიციის შექმნასურდა, ასევე გუდაურში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულების გაუქმებაზე აპელირება არასწორია. მთავრობა ითხოვს 12 ოქტომბრის სტატუს კვოს აღდგენას მერიისგან, რომელმაც მოსახლეობის დასჯა გადაწყვიტა. ჩვენ არაფრის განხილვას არ ვპირებით, მერიამ საკუთარი ვალდებულებები უნდა აღადგინოს და მთავრობისკენ ხელის გაშვებას თავი დაანებოს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე განმარტებით, დოკუმენტს, სადაც მერია საკრებულოს სხვადასხვა პროექტების დაფინანსების შემცირების თხოვნით მიმართავს, მთავარ პროკურატურას გადაუგზავნის.

— ცენტრალური ბიუჯეტით სოციალური პროექტებისთვის თანხების გაღება გათვალისწინებული

არ იყო. შესაბამისად, ცენტრალური ბიუჯეტიდან ვერ დაიხარჯება ვერც ერთი თეთრი, თუ ეს ბიუჯეტის გათვალისწინებული არ არის. ბიუჯეტის შეცვლა კი შეუძლია პარლამენტს მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მთავრობას კი პარლამენტისთვის ამგვარი თხოვნით არ მიუმართავს. ეს არის თბილისელების დასჯის მცდელობა და ამის უფლებას ჩვენ არავის მივცემთ. ამიერიდან მთავარი პროკურატურა შეისწავლის, თუ რის საფუძველზე გადაწყვიტა მერიამ, დაესაჯა თბილისელები, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

დაიწყება გამოძიება ლაფანურის კაპარასიის საქმეზე?

ლაფანურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული არჩილ ჩოხელის ოჯახს საქმეზე გამოძიების დაწყებას და დაშინაშავე პირების დასჯას მოითხოვს.

შესაბამისი მოთხოვნით არჩილ ჩოხელის დამხმარე თანამშრომლებმა მთავარ პროკურატურაში საჩივარი შეიტანა.

როგორც სათუნა ჩოხელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი ძმა გაურკვეველ ვითარებაშია დაღუპული და არ გამოიკვლია, რომ მას პოლიტიკური სარჩული იყო.

— მაქვს დიდი ეჭვი, რომ ეს იყო ხელისუფლების მიერ დადგმული და კარგად ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც საფუძველად უდევს პოლიტიკური სარჩული. არჩილ ჩოხელი, როგორც სპორტსმენი, დამსახურებულად იღებდა ივანიშვილისგან ყოველთვიურად დახმარებას. როგორც ჩანს, ყოფილი ხელისუფლების წევრები ფიქრობდნენ, რომ არჩილს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება ჰქონდა, — აცხადებს სათუნა ჩოხელი.

ამასთან, ის იმ მაღალჩინოსნების ვინაობასაც აკონკრეტებს, რომელთა დასჯასაც მოითხოვს. ესენი არიან: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე.

ინტერპრესნიუსი

თიბართვა საბართველს მოსახლეობას

გაომრიცხული არ არის, სამართლიანი პრობლემის სალკული შემთხვევები საბოტაჟსა და ქაოსში გადაიზარდოს

საქართველოს ყოფილი მთავრობის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა და დანაშაულებრივმა ქმედებებმა ქვეყანა თითქმის განადგურებამდე მიიყვანა. ბუნებრივია, საქართველოს თანამიმდევრული და საფუძვლიანი მოქმედებებით განხორციელდეს ეკონომიკური აღორძინება. მყისიერმა და გაუზრუნველმა პოლიტიკამ, შესაძლოა, ქვეყანა სრულ კატასტროფამდე მიიყვანოს.

სამწუხაროდ, ბოლო დღეებში საკუთარი პირობების გაუმჯობესების მიზნით თავი იჩინა დევნილებისა და სოციალურად დაუცველთა მიერ შეწვევით თვითნებურმა დაკავებამ და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა (მაღაროელების, მძღვანელებისა და სხვ.) გაფიცებამ.

ვის, თუ არა ჩვენ, სამეცნიერო და სახელოვნო საზოგადოებას, რომელთა შემოსავლები ძირითადად საარსებო მინიმუმს არ აღემატება, გვესმის შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობა და თხოვნით მივმართავთ საქართველოს მოსახლეობას, რომელსაც უამრავი ჭირ-ვარამი გადაუტანია, დღესაც გამოიჩინოს მოთმინება და ახალ მთავრობას მისცეს საშუალება, სწრაფად და მშვიდ ვითარებაში განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი პროგრამა.

მოუწოდებთ მერიას და სხვა დაწესებულებებს, სოციალურ სფეროში თავი შეიკავონ ისეთი გაუმართლებელი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუწყობს დაძაბულობის ესკალაციას.

შექმნილი ვითარებით შეიძლება ისარგებლონ რევანშისტულმა პოლიტიკურმა ძალებმა და სამართლიანი პროტესტის ცალკეული შემთხვევები, გამოირიცხოს არ არის, საბოტაჟსა და ქაოსში გადაზარდონ. ამით ისინი შეეცდებიან საზოგადოების ყურადღება საკუთარი დანაშაულებრივი საქმეებიდან სოციალურ პრობლემებისაკენ გადაიტანონ, რაც ხელს შეუშლის საქართველოში სამართლიანობის აღდგენას.

„ქართული აპკაქია“
8.XI.2012.

პური ჩვენი არსობისა

ჯანსაღი კონსერვისის პრინციპები უნდა ამოქმედდეს!

კვირფასო რამდენიმე, თქვენი გაზრდილი 31 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი ფქვილისა და პურის ფასების დაკავშირებით. მინდა წერილის ავტორს ბეგრ რამეში დავუთხოვო და თან, როგორც პროფესიონალი ზოგიერთი რამეც განვმარტო, რადგან რუსეთში მისაღები 17 პროცენტით შემცირება და უკრაინის სორბლის კვოტების დაცვა, თუნდაც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიერ რუსეთთან ტრადიციულად 45 მილიონ ტონის სორბლის შექმნა ქვეყანაზე, რომელიც წელიწადში 1 მილიონ ტონა სორბალს მოიხმარს, სულაც არ უნდა აისახოს ფქვილის ფასების ასეთი უსაშველო ზრდით.



სტიქიური მოვლენები და ბუნებრივი კატაკლიზმები ლამის ჩვენი ცხოვრების მეგზურად იქცა და მას, ვისაც ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს, ამგვარი განცხადებები რეალობის შენიღბვაში უწყობს ხელს.

მაგანის როლი სწორედ ის არის, რომ ფქვილის ფასზე არც არჩევნები მოქმედებდეს და არც სხვა მოვლენები, მით უფრო, რომ კომუნისტებისგან საქართველოს მძლავრი ელევატორების (სახელმწიფო ბელედი) ქსელი შემორჩა, სადაც შესაძლებელია მთელი ამიერკავკასიის მარაგების შენახვა.

ინფორმაციისთვის, აზერბაიჯანს 2 მილიონი ტონა სორბალი ესაჭიროება და იგი თავის თავს თითქმის იკმაყოფილებს. ხოლო საქართველოს ბოლოდროინდელი რეკორდი მხოლოდ 300 ათასი ტონა იყო, დანარჩენი ექსპორტზე ვართ დამოკიდებული. რამდენიმე წელია გადაიკეტა ფქვი-

ლის შემოტანა, რაც დიდი შეცდომა იყო. ყოველივე ახსნეს ადგილობრივი წისქვილების დასაქმებისა და ხარისხიანი ფქვილის მიღების მიზნით, თუმცა ამასობაში (ეს პოლიტიკა აშკარად მცდარი აღმოჩნდა) არ იქნა გათვალისწინებული ჩვენში არსებული გადაამუშავების მაღალი ხარჯები — ელ.ენერჯია, წყალი და ტრანსპორტირება ძვირად ღირებული სიამოვნებაა. ამიტომაც ქართული წისქვილების უმეტე-

სობა — მზეკაბანი, გორი, კაჭრითი, მარნეული — აზერბაიჯანული გახდა, ხოლო ქართველ ფქვილის მომხმარებლებს ფქვილი გაუფიქრდა. რაც იოლად, მისახვედრია, როგორ აისახება პურის ფასებზე, რასაც არაერთი წერილი მიუძღვნა.

იმედია, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელთა პოლიტიკა ამ მიმართებით შეიცვლება და საზოგადოებრივი ეკონომიკისა და ჯანსაღი კონსერვისის პრინციპებს მიეცემა პრიორიტეტი, რასაც მსოფლიო საკაჭრო ორგანიზაციის პრინციპებიც ითვალისწინებს.

გალსაზ დოლიძე,
პურის მრეწველთა კავშირის
თავმჯდომარე, გენიკის მეცნიერებათა დოქტორი

სიხის დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლდა

მ.წ. მატროსოვის ციხის დირექტორი გიორგი ხიზანიშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში განაცხადეს, ხიზანიშვილის გათავისუფლება რეორგანიზაციის პროცესს უკავშირდება.

ამასთან, სამინისტროს ინფორმაციით, ხიზანიშვილს ე.წ. მატროსოვის ციხის დირექტორის თანამდებობაზე ბორის პეტრიაშვილი შეცვლის.

გურუსით მოცული სამე

ადმირალ გიგლა ირემადის ქვრივი მანანა ირემადე თავისი ქმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამომდინარე ჩატარებას ითხოვს. ამის შესახებ მან გუშინ for.ge-ს პრესკლუბში განაცხადა. მანანა ირემადეს ეჭვი აქვს, რომ მისი მეუღლე მონამლეს და მისი სიკვდილის მიზეზი სწორედ ეს გახდა.

საზღვაო ძალების სარდალი, ადმირალი გიგლა ირემადე 2004 წლის 13 აგვისტოს, როგორც მისი მეუღლე აცხადებს, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. მანანა ირემადის განცხადებით, არ ჩატარებულა ექსპერტიზა და არც მოკვლევა. ამიტომ მას ეჭვი აქვს, რომ მისი მეუღლე მონამლეს.

„მეუღლის გარდაცვალებიდან 20 დღეში ქალიშვილის მეუღლე დავით რუხაძე გარდაიცვალა. ისიც საზღვაო ძალებში მსახურობდა და ისიც გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. არც მასზე ჩატარებულა ექსპერტიზა და არც გამოკვლეულა, რა გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი. თუმცა, ჩემი წამება ამით არ დასრულებულა. რვა წელია ტერორის ქვეშ გვიწევს ცხოვრება. არის შანტაჟი, დაშინება, მუქარები, გაუთავებელი სატელეფონო ზარები. მაგალითად, მირეკავენ და მეუბნებიან, — „როგორ გძინავს, შენი შვილი დაიჭირეს (მე მყავს 21 წლის ბიჭი) ან შენი შვილი მოკლეს და ა.შ.“, — ამბობს მანანა ირემადე.

მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ ადმირალ ირემადის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოკვლევა ჩატარებულიყო, მაგრამ მის ამ თხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია. ახლა კი ვინაიდან ხელისუფლება შეიცვალა, ირემადე აცხადებს, რომ მისი ქმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოძიების იმედი გაუქმდა და ამიტომაც იგი მონაგან საქმეთა მინისტრს, მთავარ პროკურორსა და თავდაცვის მინისტრს მიმართავს, რათა ეს საქმე გამოიძიონ.

კითხვაზე, რატომ გაუჩნდა ეჭვი, რომ მისი მეუღლე მონამლეს, მანანა ირემადე პასუხობს, რომ მან დანამდვილებით იცნოდა, თითქოს, მისი მეუღლის გვამს ექსპერტიზა არ ჩატარებდა, მაგრამ მეუღლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გაიგო, რომ მეუღლის თანამშრომელმა ვიქტორ ქელიძემ და ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა ზაზა შალამბერიძემ ექსპერტიზა ჩატარეს, მაგრამ ამ ექსპერტიზის პასუხები ოჯახს არ გასცნობდა. გარდა ამისა, ირემადე ამბობს, რომ მეუღლის გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე ჰოსპიტალში მას რაღაც ნამლებს ასმევდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ეს დასაძინებელი მედიკამენტებია. ამ ნამლების გამო კი მეუღლის გასვენებამდე იგი მუდმივად თითქმის უგონო მდგომარეობაში იყო და ამიტომაც მანანა ირემადე ფიქრობს, რომ ვიღაცას არ აწყობდა, მას მაშინვე დაეწყო მეუღლის გარდაცვალების მიზეზების დადგენა. იგივეს აფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ



მოკვდა თუ მოკლეს ადმირალი?

გიგლა ირემადის ქვრივი მანანის ბარდასვალის მიუხედავად გამოძიებას ითხოვს

მთელი ამ წლების განმავლობაში მასზე მუდმივი ფსიქოლოგიური ტერორი მიმდინარეობდა სატელეფონო ზარებისა და მუქარების სახით.

რაც შეეხება თავად გარდაცვალების ფაქტს, იგი აცხადებს, რომ გიგლა ირემადე სახლში იყო, მას ვიღაცამ დაურეკა და სახლიდან გაიყვანეს. იმ დღეს მათი ქალიშვილის ბინა გაიძარცვა და ამიტომ გიგლა ირემადეს თავის შვილთან მისვლა მოუწია და სწორედ შვილის ბინაში იგი უეცრად გარდაიცვალა.

„მამაჩემი ჩემთან რომ შემოვიდა, მწვანე ფერი ედო სახეზე და მითხრა — მამი, ცუდად ვარო. ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. ამის შემდეგ იგი უეცრად გარდაიცვალა. ვინაიდან მას უცებ დაუფეგმავად მოუწია ჩემს სახლში მოსვლა, ამიტომ მე და დედა ვფიქრობთ, რომ იგი მონამლული იყო და სხვაგან უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ჩემი ბინის ძარცვის გამო ჩემს სახლში დალია სული“, — აცხადებს ადმირალის ქალიშვილი.

მასა და მის დედას არ აქვთ ინფორმაცია, ვინ შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული გიგლა ირემადის მოკვლით, მაგრამ ვინაიდან მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, ირემადის ქვრივი არ გამოირიცხავს, რომ მას რაღაც საიდუმლო ინფორმაცია ჰქონოდა. ამასთანავე, მანანა ირემადე ამბობს, რომ ჰქონდა ინფორმაცია, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც გიგლა ირემადე გარდაიცვალა, იგი გენშტაბის უფროსად უნდა დანიშნულიყო. მანანა ირემადის თქმით, მეუღლის გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ, ლამის საათებში მის სახლში რამდენიმე ნიღბიანი, შეიარაღებული პიროვნება შეიჭრა, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენეს და ითხოვდნენ იარაღს, ფულს, რუკას და რაღაც კასეტას, თუმცა არც ერთი ეს ნივთი მას სახლში არ ჰქონია. აქვე მანანა ირემადე აცხადებს, რომ მისი მეუღლის გარდაცვალებიდან მეორე დღეს, მისი კაბინეტი გაიძარცვა, ხოლო საცხოვრებელი ბინა, მისი თქმით, ოთხჯერ იქნა გაძარცვული და ამ ძარცვის პერიოდში მისი მეუღლის კუთვნილი ნივთები იკარგებოდა. ამასთანავე, არც ერთ ამ ფაქტზე, გარდა ბოლო ძარცვისა, საქმე აღძრული არ არის.

„სახლში გვექონდა ორი წიგნი, ერთი იყო „საქართველოს გენერლები“, მეორე კი იყო „გენერლები და ადმირლები“. ერთ-ერთი ძარცვის შემდეგ ეს მეორე წიგნი, ანუ „გენერლები და ადმირლები“ ველარ ვნახე, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი უცებ ისევ გაჩნდა. ასევე იყო ჩემი მეუღლის ალბომთან დაკავშირებულიც. ეს ალბომი რამდენიმე თვე ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ. ვიმდინარე წლის 19 აგვისტოს, როდესაც ჩვენი ბინის ბოლო ძარცვა მოხდა, ეს ალბომი საძინებელში საწოლზე აღმოვაჩინეთ, მაგრამ სხვა რაღაცები იყო წაღებული“, — ამბობს მანანა ირემადე.

მისი თქმით, როდესაც ამ ძარცვის შესახებ პოლიციაში განაცხადეს და გამოძიების ფარგლებში დაიკითხნენ, გამოძიებელი მათ ეკითხებოდა, ხომ არ ჰქონდათ სახლში ადმირალი ირემადის რაიმე ხელნაწერები, რუკა და ა.შ. ამასთანავე, მანანა ირემადე ამბობს, რომ ამ ძარცვის ფაქტზე, მართალია, საქმე აღიძრა, მაგრამ მისი და მისი ოჯახის წევრების დაკითხვის მეტი აღარაფერი გაკეთებულა და საქმე თაროზეა შემოდებული. ამასთანავე, მისი თქმით, მეუღლის გარდაცვალებიდან დაწყებული მუქარები, რაც მთელი რვა წელი გრძელდებოდა, მიმდინარე წლის 19 აგვისტოს შეწყდა. მანამდე კი ზენოლა სხვადასხვა ფორმის იყო.

„უბოლოში მანქანა გვეყავს გაჩერებული. დილით გამოვიდასული და მანქანაზე სისხლიანი სუთი თითი იყო დასატილი. ასე გრძელდებოდა დასაბოლოებით ათი დღის განმავლობაში, სანამ ეს ბოლო ძარცვა მოხდებოდა“, — აღნიშნავს მანანა ირემადე.

ენიო ჟღანტი

რა ხდება?

მართლაც მენავთობებმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენიმე კომპანიას ჩაატარეს: კარტელური შეთანხმების შესანიღბად, ვითომდა სხვადასხვა ფასები დაადგინეს და სანავთობის პროცესში მხოლოდ ნაკლებად მოხმარებად პროდუქტებზე დასწიეს ფასი, ხოლო ყველაზე მოთხოვნადი სანავთობის („რეგულარი“) თითქმის არ გაუიფრებიათ. ამით მენავთობები ორი კურდღლის დაჭერას აპირებენ — არც საკუთარი ზემოგება შეიმცირეს და ბაზარზე მოჩვენებითი კონკურენტული ფონიც შექმნეს.

ამასობაში მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ღირებულება მკვეთრად შემცირდა. 1 ტონა ბენზინის საბითუმო ფასმა 200 დოლარით იკლო. ამის მიუხედავად, ადგილობრივი ნავთობკომპანიები გაიაფების პროცესის გაგრძელებას აღარც აპირებენ.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, 2012 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში საქართველოში სანავთობის იმპორტმა (ბენზინი და დიზელის სანავთობი) 692,6 ათასი ტონა შეადგინა, რაც 24 ათასი ტონით აღემატება 2011 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. მათ შორის აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებული იყო 316,1 ათასი ტონა ბენზინი და 376,5 ათასი ტონა დიზელის სანავთობი.

მთლიან მოცულობაში „რეგულარის“ ტიპის ბენზინის იმპორტმა შეადგინა 70%, პრემიუმისა — 27%, სუპერის — 3%. რაც შეეხება დიზელის სანავთობის სტრუქტურას, ევროდიზელის იმპორტმა შეადგინა 30%, ხოლო ელ-62 მარკის დიზელის სანავთობი — 70%.

ქვეყნების მისხედით ბენზინისა და დიზელის სანავთობის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანიდან — 266,9 ათასი ტონა, საიდანაც იმპორტირებულია მხოლოდ „რეგულარის“ ტიპის ბენზინი და ელ-62 დიზელის სანავთობი. სხვა ქვეყნებიდან ბენზინისა და დიზელის სანავთობის იმპორტის შემდეგ საქარ-

მსოფლიო ბაზარზე ნავთობი იაფდება, ჩვენთან კი...

აფიქსა, მენავთობებს შიშა გალუარა, რაკი უფრო გამოხვევად იქსევიან

იმპორტმა შეადგინა: რუმინეთი — 186,3 ათასი ტონა, ბულგარეთი — 147,0 ათასი ტონა, რუსეთი — 53,6 ათასი ტონა, იტალია — 23,6 ათასი ტონა, საბერძნეთი — 13,0 ათასი ტონა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ცნობით, წლეულს სანავთობის ფასები მაღალ ნიშნულზე იდგა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეკორდულად ყველაზე მაღალი ფასებიც კი ფიქსირდებოდა. ამის მიუხედავად, სანავთობის მოხმარება არა თუ შემცირდა, პირიქით გაიზარდა კიდევ.

ამ მონაცემების მოყვანა იმისთვის დაგეგმილია, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა სანავთობო ბაზარზე არსებული განუკითხაობა, რომელიც ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, კიდევ უფრო გაძლიერდა. როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში, ძირითადად, აზერბაიჯანულ ბენზინს („რეგულარს“) მოიხმარენ. იმის მიუხედავად, რომ ბოლო ერთი თვეა სანავთობისა ცემად იაფდება, ხოლო ახალი ხელისუფლება კომპანიებს ფასების შემცირებისკენ მოუწოდებს, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა.

არჩევნების შემდეგ საქარ-

თველოში სანავთობის რამდენი თეთრით მართლაც გაიფრდა, მაგრამ მხოლოდ „პრემიუმი“ და „სუპერი“. მათი წილი საერთო მოხმარებაში კი მხოლოდ 30%-ია. აზერბაიჯანული „რეგულარი“ თითქმის არ გაიფრებულა (მხოლოდ 2 თეთრით), არადა ავტომობილების 2/3 სწორედ ამ სანავთობს მოიხმარს.

საერთაშორისო ბირჟებზე 1 ტონა ბენზინის ღირებულება 900 დოლარის ფარგლებშია, რაც 1 თვის წინანდელ მაჩვენებელს 200 დოლარზე მეტით ჩამოუვარდება. მენავთობები კი ყურსაც არ

იბერტყავენ. არადა, ნაცემოდრობის მმართველობის პერიოდშიც კი მსოფლიო ბაზარზე არსებულ ტენდენციებზე მეტ-ნაკლებად რეაგირებდნენ.

„რომპეტროლის“ კომერციული დირექტორის თენგიზ ჭიჭინაძის განცხადებით, კომპანია, ჯერჯერობით, სანავთობის გაიაფებას არ აპირებს. მისი თქმით, „რომპეტროლის“ ქსელში „რეგულარის“ ტიპის სანავთობის ისედაც კონკურენტებზე იაფია, შესაბამისად, გაყიდვების მაჩვენებელი არის გაზრდილი.

„გაიაფებას არ ვაპირებთ, მიზეზი არის ის, რომ საბაზრო ფასია. ყველაზე იაფად ვყიდით სანავთობს და ხალხი კმაყოფილია. გაიზარდა გაყიდვების მაჩვენებელიც“, — ამბობს თენგიზ ჭიჭინაძე.

7 ნოემბრის მონაცემებით, „პლატინის“ საერთაშორისო ფასები ასე გამოიყურება: 1 ტონა ბენზინი 918 დოლარი ღირს, ხოლო 1 ტონა დიზელი — 920 დოლარი. თუკი დეტალურად გამოვიყურებთ, საქართველოში იმპორტირებული 1 ლიტრი ბენზინის საბითუმო ფასი 1,6 ლარს არ აღემატება, ხოლო დიზელისა — 1,82 ლარს. აქედან გამოდინარე, ყოველ გაყიდულ ლიტრზე ნავთობკომპანიებს მინიმუმ 50 თეთრი რჩებათ, ხოლო დიზელის შემთხვევაში უფრო მოკრძალებულ ულუფას ჯერდებიან — 25-30 თეთრი.

„სოლიდარობა ეროვნული ინტერესებისთვის“ ასოციაციის ხელმძღვანელის ბექა კემულარის განცხადებით, კომპანიებმა სანავთობის გაიაფება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. „დღეს ბაზარზე ისევე მონოპოლიური ფასია, თუმცა კომპანიებს კარტელური გაიფრება რომ შეეინიღებოდა, რის შედეგადაც ბოლო პერიოდში ბევრი საუბრობს, სანავთობის სხვადასხვა კომპანიამ სხვადასხვა ფასი დაადო. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ბაზარზე კონკურენტული ფასები და მონოპოლია აღარ არსებობს“, — ამბობს ბექა კემულარია.

გიორგი ბაქაური

კითხვები, კითხვები...

ბაჩო ახალაია დაბაპტიმრები. ეს უკვე იცით, მაგრამ ერთი ძველი ანეკდოტი გამაზსენდა და ჩემი წერილი ამ ინფორმაციით ამიტომ დავინწყე.

ტიპი რეკავს კვბ-ში. მართალია, რომ თქვენთან ხანძარი იყო და ყველაფერი დაინვა?

— დიახ. — უღრმესი მადლობა. გადის ხუთი წუთი. ტიპი ისევ რეკავს და იგივეს კითხულობს. ხუთი წუთის შემდეგ ისევ რეკავს და ასე გრძელდება ათჯერ. კვბ-ში გაბრაზდნენ.

— უკვე ათჯერ გითხარით, რომ ყველაფერი დაინვა. რა გაგინწყალებ გული?

— ძალიან მსიამოვნებს ამ ამბის მოსმენა და იმიტომ გირეკავთ ასე ხშირად.

ვიცი, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ესიამოვნება ბაჩო ახალაიას დაბაპტიმრება. ეს ამბავი მოქალაქეებმა აღიქვეს არა როგორც ყოფილი მაღალჩინოსნის დასჯა, არამედ სამართლიანობის აღდგენის დასაწყისი და ამიტომ თავს უფლება მიეცვი კიდევ ერთხელ შემესვენებინა ეს უკვე მოძველებული ამბავი.

ბუნებრივია, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნის, საზოგადოებისთვის საკმაოდ ოდიოზური ფიგურის და პირდაპირ რომ ვთქვათ, ჯალათისა და სადისტის სიმბოლოდ აღიარებული პირის დაბაპტიმრებას სხვადასხვა რეაქცია მოჰყვა.

ამის ნათელ დადასტურებად სოციალურ ქსელ ფეისბუქში დადებული რამდენიმე სტატუსიც გამოდგება: „ნუგზარ ნიკლაური შენობიდან გამოვიდა და იქ შეკრებილ საზოგადოებას ახარა: საქართველოში გაჩნდა პირველი პოლიტიპატიმარი! აკომ მანქანის ვაპოტზე შემანერი გახსნა — ეს ერთი და სხვა მრავალისა და თუთბერიძეს პლასტმასის ჭიქა მიანოდა. ხერხეულიძემ და ოჩიაურმა თვა გადაკონცეს და სნიკერსები დაყარეს. თუთბერიძემ მორცხვად დახარა თავი და გამადლობო ჩაიჭურჭულა“.

„ნაცმოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის თანაშემწეს ტელეფონით ურეკავენ: ვანოს სთხოვეთ!

— დაკავებულია. — უკვე? — პროკურატურასთან საწერი კალმების ჯიხური გაიხსნა. მარტო გუშინ 200 ლარის უვაჭრია და ამ დღეებშიც კი მოგებას ელოდება“.

ეს სტატუსები ძალიან მცირე ამონარიდია იმ მართლაც და დიდი აუიოტაჟისა, რაც შვიდი ნოემბრის ღამეს იგბა ქართულ ინტერნეტის ივრცეში. არადა ამ ყველაფერს დიდი ამბები უძლოდა წინ.

დავინწყებ იმით, რომ მოსახლეობაში ვრცელდებოდა ხმები, რომ ნაცმოძრაობა და პირადად სააკაშვილი ასე ადვილად და „დემოკრატიულად“ არ დათმობდნენ „დაკარგულ სამოთხეს“ და მითითური დრაკონივით კუდს მოიქნევდნენ.

„კუდში“ კი მოიაზრებოდა სწორედ ბაჩო ახალაია თავისი ორასკაციანი შეიარაღებული რაზმით (ხმები ამ რაზმის შესახებ უფრო აქტიურად მას შემდეგ გაიხსნა, რაც ჩვენებისა, თუ კანონიერი ქურდებისგან შემდგომი ექსმინისტრი იძულებული გახდა, „თბილი“ უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულიყო).

გასწორდა სხვადასხვა სახის პროვოკაციები დაწყებული დევნილებისა თუ სოციალურად დაუცველი ადამიანების სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში შეჭრით (ისინი არც მალავდნენ, რომ „ნაკოლს“ „თავი-

სუფალი ფართის“ შესახებ, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურებიდან და ნაცმოძრაობის კოორდინატორებიდან იღებდნენ), სასჯელალსრულებით დაწესებულებებში პატიმრების მიერ ერთხმად გამოხატული პროტესტით დამთავრებული.

ბუნებრივია დაინყო ყველა საეჭვო საქმის გადახედვა. პრესაში ხელახლა გაჩნდა მასალები უკანონოდ დასჯილი თუ არაადამიანურად ნაწამები ადამიანების შესახებ.

საბუნდევროდ დღევანდელი ხელისუფლება არ აწყვა



ამ პროვოკაციებს და მართლაც რომ სახელმწიფოებრივი ნება დაუპირისპირა საბოტაჟისა თუ არეულობის გამოწვევის მცდელობებს.

დასავლურად ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც ყოველთვის, მაშინვე „დადგნენ დემოკრატიის სადარაჯოზე“ და სხვადასხვა სახის მიმართვები, დეკლარაციები, თუ რეზოლუციები გამოაცხვეს.

თამამად შემძლია, რომ ბევრი მათგანი დავამუნათო — აქამდე სად იყავითო, მაგრამ არ ღირს. არ ღირს, რადგანაც ყველა ამ ყველაფერს ისევე უყურებდა, როგორც უყურებდა სანტერესოა ერთი თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ მოვისმინე ერეკლე მეორეს საზოგადოების თავმჯდომარის არჩილ ჭყვიძის ბრიფინგზე, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებული კანონის გაუქმების შესახებ გაიმართა. ბრიფინგზე ისაუბრეს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს ცხვენებში ყოფნაზე. აღინიშნა, რომ 345 უცხოეთის მოქალაქეა დაკავებული. აქედან 35 ქალია. აზერბაიჯანის დაკავებული მოქალაქეების რიცხვი შეადგენს 70-ს, რუსეთის — 62, რომლის 7 მოქალაქე პოლიტიპატიმარია, თურქეთის — 53, სომხეთის — 40 და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ გყავს ირანის, ბანგლადეშის, პაკისტანის, მაროკოს, საფრანგეთის, გერმანიის, უზბეკეთის, ალჟირის, საბერძნეთის, სირიისა და კამერუნის მოქალაქეები.

არჩილ ჭყვიძემ აღნიშნა, რომ „რუსეთი არ მოდის არანაირ კომპრომისზე, თუ პოლიტიპატიმრები დაუყოვნებლივ არ გათავისუფლდებიან“.

ვიმეორებ — „რუსეთი არ მოდის არანაირ კომპრომისზე, თუ პოლიტიპატიმრები დაუყოვნებლივ არ გათავისუფლდებიან“.

სანტერესოა, თუ როგორ მიენიჭათ ამ ადამიანებს პოლიტიპატიმრის სტატუსი და რა ფორმით აპირებს ამ საკითხის გადაწყვეტას პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ბატონი ზურაბ აბაშიძე.

ასევე სანტერესოა, თუ როგორ იქნება უცხოეთში დაბაპტიმრებული იმ ქართველების ბედი, რომლებიც წინა ხელისუფლების „წყალობით“ გადაიხვეწნენ და სხვადასხვა მიზეზით ციხეში აღმოჩნდნენ.

ბრიფინგზე დასმულ კითხვას, თუ ვინ იზრუნებს რუსეთში მყოფ ქართველ პატიმრებზე მაშინ, როდესაც არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს, საკმაოდ სანტერესო პასუხი გაცვა: — დაიასპორები. ქართველთა გაერთიანებები, რომლებიც რუსეთში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა და მით უმეტეს, რომ ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს.

სანტერესოა, თუ როგორი იქნება უცხოეთში აღექსანდრე ებრაელი ყოველთვის ახორციელებდა ბედისა, თუ ყოფილი ხელისუფლების უკუღმართობით დაჩაგრული ქართველების სამართლებრივ დახმარებას. რუსეთის მხრიდან ქართველების მასობრივი დაკავებისა და გამოსახლების პერიოდში, თანამემამულეებისთვის აპყვავდა ადვოკატი, გარკვეულ დახმარებას უწევდა დემორტაციის პროცესში. სასურველია, რომ პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სწორედ ასეთი ადამიანები ამოუდგნენ მხარში.

უამრავი კითხვა გაჩნდა და ეს კითხვები არა მხოლოდ ყოფილი მაღალჩინოსნების დაბაპტიმრებას, ან უკვე დაბაპტიმრებული ადამიანების გათავისუფლებას ეხება.

მაგალითად ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული გადაცემა „ღია ეთერის“ დროს ფეისბუქში ასეთი სახის კითხვები დაისვა:

„333-ე მუსლი, ანუ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ე.წ. ჟურნალისტიკაზე არ ვრცელდება?“

„საკაშვილი თავის დროზე მიხვდა, რომ მაია ნადირაძე და გიგა ბოკერია მოსახლეობას აღიზიანებდნენ და ტელეეკრანებზე გამოჩნა აუკრძალა.“

განახლებული და ასე ვთქვათ განთავისუფლებული ტელეკომპანიების მესვეურებმა ნუთუ არ იციან, რომ ზოგიერთი ე.წ. რეიტინგული ტელეწამყვანი ძალიან აღიზიანებს მოსახლეობას თავიანთ „თავზე ვაზელინას“-მულ უკომპრომისობით?“

ბუნებრივია, რომ მოსახლეობას აინტერესებს იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ყოველდღე ტელეეკრანებიდან ტყუილის პროპაგანდას და ტერორს ეწეოდნენ. დიას, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ისინი თავიანთი საინფორმაციო, თუ „გასართობი“ პოლიტიკით, ყოველდღე ატერორებდნენ და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ამყოფებდნენ საქართველოს მოქალაქეებს.

ბუნებრივია, რომ მოსახლეობას აინტერესებს განსხვავება „რუსთავი 2“-ზე დარჩენილ დავით კიკალიშვილსა და საზოგადოებრივი მანუყველიდან დროზე გამოცხადებულ ევა ხოფერიას შორის (ამ შემთხვევაში მე პირადად კიკალიშვილი უფრო მეტ პატივს ვცემ).

კითხვები გაჩნდა და იმეღია, რომ პასუხებს მალე მივლებთ.

გიბა გაბრიძიძე

შუბი ზნაღითი

პრეზიდენტი გამჭვირვალდა!

თბილისი — რას არ დაინახავ და ყურო — რას არ გაიგონებთ იმ ქვეყანაში, სადაც ამ ორიოდ წლის წინათ ნეტარპრეზდენტი სააკაშვილი დედამიწელთათვის ჯერარგაგონილ სასწაულებს ახდენდა, ახლა თავად განხდა იმ სასწაულის მომსწრე, რომელსაც სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამაში განსაცვიფრებელი და დაუჯერებელი არაფერია. ბატონმა მინიელმა ქვეყნისა და ხელისუფლების გამჭვირვალობაზე იმდენი იშრომილვანა და იყებედ-ილაბუცა, რომ ბოლოს და ბოლოს თავადაც გამჭვირვალდა, ოღონდ არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ამჯერად უკვე ბატონ ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით. ამ სიკეთისათვის „ქართული ოცნების“ თავკაცს, რა თქმა უნდა, მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, ის სომ სააკაშვილის მიერ დაწყებული მამულიშვილური საქმის — გამჭვირვალობის წარმატებით დასრულებისათვის იღვწის.

განვითარებული ქვეყნებისთვის, რომ საკუთარ ეკონომიკას, პოლიტიკას, განათლებისა და კულტურის სფეროებს ყველა სათვის თვალსაწიერად, ღიად და გამჭვირვალედ ვმართავთო. ამის დასტურად ასახელებდნენ მტკვარზე ნარიყივით გადებულ შუშის ხიდსა და შუშაბანდებად „დაღვრილ“ პოლიციის შენობებს, რომლებიც გარედან უცხოელ ტურისტებს უბრმავებდა თვალებს და შიგნიდან — უსამართლობით დაშინებულ „დაჩმორებულ“ საკუთარ მოქალაქეებს.

ერთი იმათგანია ნაჩუმათევად გაყიდული „თბილწყალკანალი“, რომელსაც ახლა უცხოური სახელი „ჯორჯიან უოთერ ენდფაუერი“ ამშვენებს. რა ქნას, მან ჭრელი გველივით ტყავი იმდენჯერ გამოიცვალა, რომ სწორად საკუთარ თავს თავადაც ვეღარ ცნობს, დღემდე საზოგადოებისთვის უცნობია, ამ კონკრეტულ საწარმოში რატომ წააგეს ტენდერი მაღალი პრესტიჟისა და მდიდარი გამოცდილების მქონე უცხოურმა კომპანიებმა „აკვალაიმ“ (ესპანეთი) და „ვაიოლა“ (საფრანგეთი) და როგორ მოიპოვა გამარჯვება მათ ფონზე უცნობმა საეჭვო კომპანიამ „მულტიპლექსმა“, რომლის უკანაც ფაქტობრივად დგას რუსული „რაოესი“. თავის დროზე ამ უკანასკნელის ლუკმა გახდა „თელასი“, ხოლო იმავე „რაოესმა“ არ იუკადრისა, მისსაკუთრებინა დედაქალაქის ნავთივც, რომლის გადასახადი რატომღაც ნაება ელექტროენერჯის გადასახადი(?)

ინფორმაცია



ღიასპორებთან გაყოფილი თანხები საქმარისი არ არის

ღიასპორისა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი გუბაზ სანიკიძე მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ღიასპორებთან მიმართებაში განსაზღვრულ თანხებს არასაკმარისად მიიჩნევს. — დიასპორები ღამის საქართველოს მეოთხედი ნაწილია. ჩვენ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის სერიოზული ბარიერები არ შევუქმენით და მას მცირე შენიშვნებით მხარი დავუჭირეთ, მაგრამ დიასპორებთან დაკავშირებით არასაკმარისი თანხები გამოყოფილი, — მიიჩნევს სანიკიძე.

საპარლამენტო კომიტეტების ფარგლებში 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესი გრძელდება. საბიუჯეტო ინიციატივების მთავარი კრიტერიუმები უმრავლესობის წევრები არიან. განხილვაში საპარლამენტო ოპოზიცია არ მონაწილეობს.

ტიმინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დამფუძნებლის სტატუსით საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, კემბრიჯის სამეფო უნივერსიტეტის ბიოგრაფიული ცენტრის საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატი (1988, 1994, 2012), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ლაურეატი (2002 წ.) და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ლაურეატი (2009 წ.), 246 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 12 მონოგრაფიის, სახელმძღვანელოების, მეტალურგიული მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ავტორი-გამომცემელი, 100-მდე გამოგონებისა და ორი მეცნიერული აღმოჩენის ავტორი (I - №390 - რეგისტრირებულია 2010 წლის 10 თებერვალს), II - №416 კი - 2011 წლის 18 მაისს).

გურამ ქაშაკაშვილი დაიბადა 1932 წელს ბაღდათში (მაიკოვსკი). 1951 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა მაიაკოვსკის ვაჟთა საშუალო სკოლა, 1956 წელს - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი. განვლო საინჟინერო შრომითი გზა რიგითი მუშადან ფოლადსადნობის საამქროს უფროსობამდე, ზესტაფონის ფეროშენადნობისა და რუსეთის მეტალურგიული ქარხნების დირექტორობამდე. რმ-ის მარტენის საამქროს ხელმძღვანელობისას ჩატარებული მეცნიერული კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე პირველად მსოფლიო მეტალურგიაში შემუშავდა და დაინერგა ნავთობისა და გაზის მოსაპოვებელი სამილე ფოლადების გამოდნობის, განქანებისა და უწყვეტი რადიალური ჩამოსხმის შესაბამისი ტექნოლოგიები, რაც საფუძველად დაედო გურამ ქაშაკაშვილის ტექნიკის მეცნიერებათა საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც 1974 წელს წარმატებით დაცვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული კვლევების არეალი საგრძობლად გაიზარდა ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობათა ქარხნის, შემდეგ კი რუსეთის მეტალურგიული კომბინატის გენერალურ დირექტორად მუშაობის პერიოდში. მეტალურგიის დარგის სამეცნიერო ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერების, საკუთარი კვლევების, გამოცდილების, გამოგონებებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე მან შექმნა ტექნოლოგიური რადიკალური აღმოჩენები, დასავლეთ საქართველოს გარემოს დამბინძურებელი, გაჩერების ზღვარზე მისული, ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობათა ქარხანა, შემდეგ კი რუსეთის მეტალურგიული კომბინატი ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლებით დარგის თანამედროვე, მონივრე უზარჩუნო პროდუქციის სანარმოებლად გადავიარაღებინა.

რუსეთის მეტალურგიულ კომბინატი მეცნიერულად და ტექნოლოგიურად ამ რთული და აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო შეიქმნა სრულიად ახალი ელექტროფოლადსადნობის საამქროს მშენებლობა, მარტენის საამქროში კი მსოფლიოში პირველად, საჩამოსხმო ციცივის ხერხიდან ფოლადის ინერტული აირებითა და წინადაწარმოებულ რეაგენტებით დუმილგარე გაქრევა-რაფინირების ტექნოლოგიის დანერგვა.

ჩამოთვლილი ტექნიკური და ტექნოლოგიური გათვლები, მეცნიერული კვლევები საფუძველად დაედო გურამ ქაშაკაშვილის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაცვა მოსკოვში, მეტალურგიის დარგის ყველაზე ავტორიტეტულ - ბარდინის სახელობის შაი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში.


გურამ ქაშაკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს მოსკოვში, დელიში, პარიზში, ლონდონში, პეკინში, დიუსელდორფში, ბერლინში, სანკტ-პეტერბურგში, ჩიკაგოში, ტოკიოში, ჰანოვერში, შანხაისა და სხვა ქალაქებში მეტალურგიის დარგის აქტუალურ თემებზე გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სამიტების მუშაობაში.

1998 წელს ქ. პიდინგში (გერმანია), 2002 წლის სექტემბერში ზალცბურგში (ავსტრია) გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებულ მეტალურგია სამეცნიერო კონფერენციაზე გ. ქაშაკაშვილის გამოვლინებებზე ინფორმაცია ფოლადის დუმილგარე რაფინირების ყველაზე პერსპექტიულ ხერხად იქნა აღიარებული მსოფლიოში და მისმა მოხსენებამ პირველი პრიზი დაიმსახურა.

რუსეთის მეტალურგიულ კომბინატი მუშაობის პერიოდში გურამ ქაშაკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა, ქარხნის გამოჩენილ ინჟინრებთან ერთად, სამჯერ მოიპოვეს მეცნიერისათვის უმაღლესი საპატიო ჯილდო - საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მარტენის საამქროს, ზესტაფონის ფეროშენადნობათა და რუსეთის მეტალურგიული ქარხნების მართვისას მისი ხელშეწყობით, სამეცნიერო ხელმძღვანელობით, კონსულტაციებითა და ოპონირებით დაცული იქნა 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

გ. ქაშაკაშვილის სამეცნიერო-კვლევითი და საგამომგონებლო მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, რომელიც ორმოცდათექვსმეტწლიანი საერთო სანარმოო, სამეცნიერო მოღვაწეობის მხოლოდ 10 წელს იწვევს. სამეცნიერო სტატიების დიდი ნაწილი, მონოგრაფიები, მრავალენოვანი ლექსიკონები და მეცნიერული აღმოჩენების კანონზომიერებათა თეორიული საფუძველები ტექნიკური უნივერსიტეტშია შესრულებული. ეს აღმოჩენები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში რიგით მეექვსე და მეშვიდეა, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვის - ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პირველი და მეორე ისტორიული დიპლომებია. ისინი რუსეთის მეტალურგიულ კომბინატი გ. ქაშაკაშვილის მუშაობის პერიოდში წარმატებული სამეცნიერო ექსპერიმენტების შედეგად და მამარებული. მან მსოფლიო მეტალურგიის ისტორიაში პირველმა განახორციელა ფოლადის დნობა ლითონის გამოსაშვები ხერხიდან ბუნებრივი აირისა და ჰაერის შეზღვევით და ნადნობის გამოშვება მეფოლადეთა მიხედვით შრომის გარეშე.



გურამ ქაშაკაშვილის ბპერდიო...

კასი, რომელმაც წლები დააპარსხა

გურამ ქაშაკაშვილმა თავის მიერ აღმოჩენილ კანონზომიერებათა მეცნიერულ საფუძველზე შექმნა ახალი ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც ფოლადის გამოდნობა, დავანა-განქანება, ლეგირება, ინერტული აირებითა და რეაგენტებით რაფინირება ერთ აგრეგატში მიმდინარეობს გარემოს უზომოდ დამბინძურებელი, ლითონის გამოშვების პროცესის თავიდან აცილებით - რუსეთის ფედერაციის პატენტი №2405046 გაცემული 27.11.2010.

აღნიშნული პატენტი საერთაშორისო აღიარების მიზნით გადაიგზავნა შეიქცარიის საპატენტო უწყებაში, რომელმაც უკვე დაადასტურა გ. ქაშაკაშვილის მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზე შექმნილი ახალი აგრეგატის პრიორიტეტულობა და პატენტის რეალიზაციის მიზნით აშუაბად ითარგმნება ჩინურ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე.

მთელ მსოფლიოში ფოლადის დნობის ტექნოლოგიური ციკლი ძლიერ აბინძურებს გარემოს - აუარესებს ეკოლოგიურ მაჩვენებლებს. გურამ ქაშაკაშვილის მეცნიერული აღმოჩენებითა და გამოგონებებით როგორც დნობის, ასევე რაფინირების პროცესში მრავალჯერ მცირდება ატმოსფეროში მტვრის გამოყოფა, რომელიც 3-4 მეტრი სიმაღლის გამდნარი ლითონის გავლისას იოლად დნება, ზრდის მის გამოსვლიანობას და, რაც მთავარია, უსაფრთხოა, რადგან წყლით გაცვივება არ გამოიყენება. ეს გამოცდისგან გამდნარ ლითონთან წლების შეხებას და აფეთქებას. ამ შეტად საინჟინერო ფაქტორების გათვალისწინებით, ჩატარებული მეცნიერული კვლევები კიდევ უფრო საინტერესო ხდება.

გურამ ქაშაკაშვილი აქტიურად თანამშრომლობს მეტალურგიის დარგის წამყვან მრავალენოვან უზრუნველბუნებთან. ის საერთაშორისო სამეცნიერო და სანარმოო უზრუნველბუნების „ფოლადი“ და „მეტალურგი“ (ქ. მოსკოვი), „მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობა“ (ქ. დენპროპეტროვსკი) სარედაქციო კოლეგიების წევრია, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო უზრუნველბუნების „მეტალურგის“, შედუღებისა და მასალათმცოდნეობის პრობლემები“ (ქ. თბილისი) მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენობრივ-საინფორმაციო კვლევათა ინსტიტუტის ხელმძღვანელობის რჩევით მან დააარსა ენობრივ-საინფორმაციო ფონდი, რომელმაც საქართველოში პირველად გამოცა 120 ათასი მეტალურგიული ტერმინის შემცველი ექსიკონი - უკრაინულ-ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულ 2000-გვერდიანი ორტომიანი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია. ენობრივ-საინფორმაციო ფონდი აშუაბად მუშაობს დიდ ეროვნულ პრობლემაზე, რომ უკრაინულ მეცნიერთა კომპიუტერული ტექნოლოგიებით ინტერნეტში ხდებოდეს ქართული ტექსტის ჩასწორება და თარგმნა სასურველ ენაზე ისე, როგორც ინგლისურის, რუსულისა და სხვა ენების.

სანარმოო, სამეცნიერო, საგამომცემლო, აღმზრდელი-პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, აღსანიშნავია გურამ ქაშაკაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის საქართველოს პარლამენტის ორი მონაწევრის დეპუტატია, სწორედ მისი ინიციატივითა და აქტიური მო-

ნაწილობით იქნა მიღებული კანონები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკას, კულტურას, სპორტს, მეცნიერებას, განათლებას. მისი ინიციატივით განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტის კორპუსის, საშუალო-სპეციალური ტექნიკური სასწავლებლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-აღდგენა-აღორძინება, საქართველოში პირველი საერთაშორისო სტანდარტების სტადიონების მშენებლობა ზესტაფონსა და რუსთავეში, რითაც გაუმჯობესდა ფეხბურთელთა მომზადების დონე და „მეტალურგი“ ფეხბურთელები ამშვენებენ ქართულ ფეხბურთს. მან დააფინანსა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს მოჭიდავეთა, ძალოსანთა, მოჭადრაკეთა ნაკრებები საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის.

მშობლიური ბაღდათის №1 და №2 საშუალო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა და პედაგოგთა დაინტერესების მიზნით შექმნილია რაინში აღიარებული თავდადებული პედაგოგების, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლების პედაგოგ ქაშაკაშვილის და ივანე თავხელიძის სახელობის ფონდები მათ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, რომელიც გურამ ქაშაკაშვილის ინიციატივით ჩატარდა. უკვე ათ წელზე მეტია, გ. ქაშაკაშვილი, როგორც ფონდების თავმჯდომარე, წარჩინებულ ფრიადოსან მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს ყოველწლიურად აჯილდოებს პედაგოგ ქაშაკაშვილის და ივანე თავხელიძის სახელობის ვერცხლისა და ოქროს მედლებით, საპატიო დიპლომებით.

გ. ქაშაკაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქების: რუსთავის, ზესტაფონის, ბაღდათის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ახალი სოფლების მშენებლობა, დიდია მისი წვლილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-მეტალურგების, პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების ნ. ნიკოლაძის, რ. ნიკოლაძის, გ. ნიკოლაძის, ე. ქაშაკაშვილის, ნ. გომელაურის, ს. შარაძენიძის, ფ. თავაძის, ლ. ოკლეის, ა. ჯუღლისაშვილის, ა. ხვიჩიას სახელობის და სახელობის უკვდავ ყოფაში, რომლებიც იდგნენ საქართველოს ინდუსტრიული უკვანის, მისი უმაღლესი ტექნიკური განათლების კადრებით უზრუნველყოფის სათავეებთან და დიდი ამავე დასდეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებას.

გურამ ქაშაკაშვილი ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების დიდი ქომაგია. მისი მორალური მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება ყოველთვის ჰქონდა ანსამბლ „რუსთავს“, ქ. რუსთავის თეატრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მწერალთა კავშირს, მეცნიერებს, ოპერისა და ბალეტის თეატრს, კონსერვატორიის ბიურომდევრებს: ლადო ათანასის, ვლადიმერ გამგებელს, ზადერ მასერაძეს და სხვებს, რომლებმაც კვალიფიკაცია, თავიანთი ხელოვნება აიმაღლეს ბარსელონაში, იტალიაში და დღეს საქართველოსა და მსოფლიოში გამოჩენილი ხელოვნები არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი გ. სარაჯიშვილის, გ. ქაშაკაშვილის, დ. ანდუღაშვილის, ზ. ანჯაფარიძის, გ. კვეციანის, რ. კაკაბაძის, მ. გამბურასის, გ. მარგველი, უ. ჩხეიძის, გ. კარტოზიას და ხელოვნების და სპორტის სხვა მოღვაწეთა უკვდავყოფაში, ხოლო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავებს: ა. ანდუღაშვილს, მ. ამირანაშვილს, ლ. ჭყონიას, თ. მუშუკუიანს, ც. ტატიშვილს სიცოცხლეშივე დაუდგა შემოქმედებითი ძეგლები მათი საიუბილეო კრებულების და საუკეთესო რეჟისორების კომპაქტ-დისკების გამოცემით.

გურამ ქაშაკაშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრისა და გამოგონებლის წოდება, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის ნითელი დროშის ორდენით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორი სიგელით, საქართველოს ღირსების ორდენით, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერის ღირსების ჯვრით“ და „მეცნიერისა და კულტურის რაინდის“ ორდენით, კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის „XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის და თვალსაჩინო ინტელექტუალის“ დიპლომებით, კემბრიჯის უნივერსიტეტის „მეცნიერის ღირსებისა და დამსახურების ორდენით“, აშშ ბიოგრაფიული ცენტრის ოქროს სკულპტურით - „უნივერსალური ჯილდო დამსახურებისათვის“, ღირსების ოქროს ორდენით, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პლატონის სახელობის ოქროს მედლი და სხვ.

გურამ ქაშაკაშვილის ბიოგრაფია შესულია შემდეგ გამოცემებში: „ვინ ვინაა რუსეთის მეტალურგიაში“ (ქ. მოსკოვი, 1997 წ. და 2000 წ.); „ვინ ვინაა რუსეთის მეტალურგიაში“ (პარიზი, მოსკოვი 1999 წ. და 2002 წ.); „ვინ ვინაა საქართველოში“ (ქ. თბილისი, 1999 წ. და 2002 წ.); დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის სამეფო უნივერსიტეტის ენციკლოპედიურ გამოცემაში „მსოფლიოს 2000 გამოჩენილი მეცნიერი“ (ლონდონი, 2001 წ.); ენციკლოპედიურ გამოცემაში „რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია“ (მოსკოვი 2002 წ.); „ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები“ (მოსკოვი, 2006 წ.); „უკრაინა და უკრაინელები - ერის საუკეთესო ნაწილი, ქვეყნის საიამყე“ (კიევი, 2008 წ.); „სუამი - პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა. საერთაშორისო საგამომცემლო პროექტი“ (კიევი, 2011).

2010 წლის 30 მარტს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ქაშაკაშვილი მეტალურგიის დარგში ფასდაუდებელი ღვაწლისათვის შეევანილია ინგლისის კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის საპატიო სიაში.

არჩილ ფრანგიშვილი, ირაკლი შორდანი, გივი ცინცაძე

გურამ ქაშაკაშვილი იმ დიდებულ ქართველ მამულიშვილთა სახელოვან ლაშქარს ეკუთვნის, რომელთა შემართება და ღვაწლი აგურ-აგურ აშენებდა და განამტკიცებდა არაერთი ათასწლეულის მანძილზე გამუდმებული შრომისა და ბრძოლის ეკლანი გზით მაგალ საქართველოს. მიუხედავად ასაკითა და მიმსცოვებისა, იგი დღესაც ჩვენი აბოლოქრებული საზოგადოების თვალსაჩინო წევრია, რომელსაც ისევე მზობად და მსოფლიო სამშობლოს ბედნიერებისათვის უძეგრს გული. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ მთელი გულით ულოცავს ბატონ გურამ ქაშაკაშვილს ამჟამინდელ საიუბილეო თარიღს, დაბადების 80 წლისთავს, და უსურვებს, რომ არცთუ შორეულ საუკუნოვან იუბილემდე დარჩენილი დრო კვლავაც ჩვეული ფოლადური გონებრივი შემართებით, ჯანის სიმრთელითა და საზოგადოებრივი რუდუნებით ჩამოემარტვლოს.

გულწრფელი პატივისცემით ბაზაში „საძრთხელონ რესპუბლიკის“ რედაქცია.

ამჟამად კვირავილი

ღვთისკახი

მამა ადამს, ახალაძეს

მერვო წყალობა, არ ვიცი, რითი... მოვლინებული უფლის განგებით, იმედად, შვეზად, გვეყავს კაცი დიდი - მამა ადამი, ყოვლის გამგებო.

შეხვარით ვაზის გაჭეტილ ჯიქანს, ცის გახსნას ვადრი, ერთად როცა ვართ... სისხლით ქრისტესი, სავსე გვაქვს ჯიქა, წმინდა მამულის დასალოცავად.

სულგანაბული, ყურს უგდებს მრევლი, ნათლით მოსილს და სიკეთის მთესველს. ოქროპირია, მტერსაც არ წყევლის, თავს საქართველოს შეწირავს დღესვე.

ეს ტაძარია მლოცველთა ბინა, მის ქადაგებას, ღვთიურს, მოველი; უძლეველი მზის სხივებზე ბრწყინავს - ფილონი ფართო, მოთქროვილი.

სანაპიროსთან ჩანს ზღვის ხედი

ჯობს სულ არ გეონდეს სამშობლო - ნათქვამი ამაზეა; ცამ, ლურჯამ, ცუდად გამხადა, იმდენად ლამაზია.

შენ, ჩემო თავო, სატყვივე, ნასეტყვო, ნამეხარო, ტყვე ვარ სიტყვისა, არ მახსოვს - ბოლომდე გამეხაროს.

მხატვარი სანაპიროსთან დაბრუნდა

ძველებურად ამაყი, შემართული, მკვრივი; დგას ზურაბი მოღმერტთან - ტორეადლორით.

მისი ფუნჯის მახვილი დროს, უღმობელს, კუწავს; ღვთიურ სიზმრებს ალაგებს - კენჭადა და ლურჯად.

მკლავიც უჭრის და თვალიც, აქვს მიზანი შორი; მართო იმრძვის, რად უნდა პიკოს პიკალონი.

ვერ ვეძიებთ გარდასულს

დამივლის, შემამცინებს - ჯავრი, ასხმული მძივად, ჩათვლემილს, თავბრუ მესხმის, რამდენის ბედი მტკივა.

მინდა სახეებს ვუთხრა - ერთიმეორეს ფარავთ, ნუგეში მოცვეთ რითი, ყველას ერთს მოგწერთ ბარათს:

როგორ აკლიხართ მამულს, ალყაშემორტყმულს მტრებით, ვერ გამოუთქვამს ენას, რარიგად მენატრებით.

ვტკვირავ სატყვივარს, მთავარს, ვილა დაეძვებს წვრილმანს... რამე მიშველოს, ვეჭვობ, იმ სამუდამო ძილმაც.

რამ გაღაპარიანა?

ჩემი მეგონა მთელი დუნია, გვერდზე დავტოვე ქებას, ძაგებას... არაფრად ღირდა, არც მიზრუნია - თავმოსაწონად და მოსაგებად.

ბავშვიც მიხვდება, ის რომ აღარ ვარ... მინდვრად გასული და უამინდო, რას არ დავუხსლტი, ღმერთმა მაღალმა, დღესაც არ ვიცი, რისთვის დამინდო.

ამასაც გავუკვირი

ვიწქე გამოსაკვლევადა, საოპერაციოდაც; მწვანე ტილო მხურა, მახურებდა, მციოდა.

აშლილ ტვიზში, ვენიდან, ადიოდა ნარკოზი; ლამის ტვირთად ვიქციე - მანქანის, საბარგოსი.

სახიფათო შემთხვევა არაერთხელ ახირდა; მეც ვისწავლე დაძრომა ჯოჯოხეთის სახიდან.

ახალი რვეულიდან

ყველაფერი ქრება

დამაცხავა, ზღვარზეა სიზმრისა და ცხადის; შუქმა მანქანებისამ, ჩემს ჭერზე რომ დადის.

პაწაწინა, ოქროსი, გვირგვინი რომ დაწნეს, ცახცახში, არ მიკითხავს - რისი იყო მაცნე.

შევეყრებდი, მუნჯივით, ფანტასტიურ ტანტალს... ეს ვიცოდი, დილაღე იგი ვერ გასტანდა.

შიში წარმავლობისა, წაწა-მარა მზარავს... იმაზედაც ღირს ფიქრი - მარადია სხვა რა?

აგვისტოს ბოლო დღე აივანზე

მოსმენილი მაქვს, რა ტკბილი გალობა იცის ჩხართვმა... მოუხდა ნიავს, საღამოს - კალიის კვენისის ჩართვა.

წელან ავხედე, ღრუბლებში,

ვიხილავ ამ სიშავსს? დაზნეულია მტვერებმა აივანი დაყურა; მწვანე ლერწი, კაუჭა, ვეჭვდება სახურავს.

ვიცი, გიჟად ჩამთვლიან, სულ ცისკენ ვიყურებ... ცოტა რაღაც მახარებს, ჯერ ხურს ნაფეხურებში.

ოქროდ დასაწერავო, არ გათავდე, მადანო!.. დარად შემოდგომისა, გემო რას ჩავტანო?!

მარტოსულად დარჩენილი

ძმარს მადენდი, ცხოვრებავ, არ ვყოფილვარ დენდი, ასჯერ მეტი დავკარვე, ვიდრე შევიძენდი.

მიწაშია, დროდადრო, ვინც რო სამოსს ურედა; გაიკრიფნენ, ვეღარ ვწევს ქვიფს ახლობლებთან.

არ მომზორდა წვალემა, მტეხავ, მუხლის ძვალე!.. წაგებულმა ვერა-რა



ამჟამად კვირავილი შაბათი ამირაჯიბთან ერთად. 2012 წ.

მთვარეს დაეტყო კლება; ორი კვირაც და, რძეჩამდგარს, კაკლის ვიგემებ ლეგანს.

დანამდვილებით ვერც ვიტყვი, უფრო, როდის რას ვიზამ; სხვა ბანგის იცის დაწურვა მიწურვამ ზაფხულისამ.

წელში ვერ გაიმართები, თუ დავცა, დავანელა; მიმარწევს ეს დედამიწა - ვეება საქანელა.

ვიტოვებულნი ახარაქი

რკინის შევადე ჭიშკარი, ბალახს ვაბიჯებ მითელილს... ასე ლუოდა შარშანაც, მწიფს ფერდზე ვაშლი, წითელი.

დაუკრეფავი ვენახი გადაფოფრია ტალავენს, კიდემეჭკნარი ფოთლები შავ მტევნებს ვეღარ მაღავენ.

ბროწეულს, შუა გაპობილს, ლამები გადაფლამებია... მწყურჩიტამ გადამიქროლა, ჩემი ფრინველი - შაშვია.

სთვლილი ვიშაქანავს

მესხი მიხმობს მელექსე, სხვა ნამი მესხურება; მწიფე ალადასტურის, კვლავაც მერგო ყურება.

წყალი წყალს მიერთვება, ქვიშას ხერგავს ქვიშავე... კიდევ რამდენ წელიწადს

ვპოვე სანაცვალო. ბედი ხარ თუ იღბალი, გულს, დაფლეთილს, მტკენდი, ათ წელიწადს ვიქვირევე; ახლაც დავალ კვხტი; არვისგან ველოდები - მომცეს დივიდენდი.

საითკენ გაქვს გზა-კვალი, ბედისწერავ, მზაკვარო? გათენდება ერთი დღესაც, ვეღარ ვიტყვი, აქ ვარო.

გაიშლებით მინდორში - სუმბულო და ნარგებო!.. მე რა წყალში ჩავვარდები ან რა მოვივარგისო?!

ავად მიყვებს არესი, ყოფა გაუარესდა... განშორება ვის უჭირს, ჩემებრ - მზესთან, მთვარესთან?!

სიხარულის მახინჯი

ის დალოცვილი ბუნება რომ არ გვივიწყებს, მიკვირს; ანძაზე იჭდა, ამ დილით, დედალ-მამალი ჩხიკვი.

მიხვდები, ჩიჩხინით მამცნობდნენ რაღაცას, სასიკეთოს; შევეცმენდი, გვანდნენ იმდენად - ზაქარასა და ქეთოს.

ენა ალესეს, ვოქვი, ამათ ნმა როგორ ავაყოლო!.. შავს ატოკვდნენ ქორჩებს და შავი შვენოდათ ბოლო.

შეიფართოვალეს, დავლოცე, წუხილი გულს მოცილდა... იხარონ, არ მოგვეშალოს - ფრენა ბედნიერ წყვილთა!

ალარ მუქიანა

(„მეძო“) რას ვადარო ტარი მისი, გაწოლილი ირიბად... ცაში ქროლა, სადაფავრულ გიტარის ატირება.

ოთხი სიმი - ვერცხლი წნული, ზედ თითების ტარება... რეტის დასხმა და ცრემლები, დაღვრილი ნეტარებად.

დამანელებს ეს წივილი, გამწეწავი, გამთელი... იწვის, არ ჩანს უღიმღამო - ლამე, ამაღამდელი.

თეთრი გიორგის მემკვიდრე

(გემი რუსთაველები) მის გულს არ მიეკარება ბოროტება და შური - გოგოს „ქართული ოცნების“ აცვია მაისური.

ინწევა მზიან გამზინზე, ყელმოღერილი, ლაღად, ჩვენც მოვესწარით, გემრევი, ამ საქართველოს, ახალს.

ღიმილი გაჩნდა, შეწყდებდა ცრემლების ლაპა-ლუპი... დიდხანს გვეყოლოს, გველემას ვინც დააბჯინა შუბი!

უკმაღარ ვმდგარავარ

ქვისას ვავლებ გალავანს, სხვა ავავე ციხე; შენ იმას ვერ შესწვდები, შუა რომ გაიხე.

უამმა ვერ გადაქელოს, ფიქალია შავი... ბედი შენი - არავინ არი დამნახავი.

ფოტრო ნუ გეგონება, სცადე, გადაძვინი!.. ღრუბლებს, გასაადრეველს, ფატრავს იმის წვერი.

ცასთან ახლოს, მზის ახლოს, ერთხანს თუკი დავრჩი, მინდა შემოვიჩვიო ოქროსრქება არჩვი.

ქარში შეუტოვდება კისერი და გავა... სასწაულის შემყურე, სხვაგან საღლა წავალ.

არ მაქვს და არც მქონია თავი დასაზოგო. ამას, შენისთანების, ვერ მიხვდება ჯოგო.

რა გრჯის, რისთვის შხრიალებ, ბოროტებავ, შხამო?! ავ თვალს არ ენახება - ჩემი კარ-მიდამო.

სუთი სხარტულა

1. პროფესიონალი მახინჯელი გარდაცვლილ მწერლებს საფლავში უტევენ, ლანძღვის დიდი აქვს მადა; მიცვალეხელთა შეურაცხყოფა ხელობად გაიხადა.

2. დანაკლისი აინაზღაურა ფლიდობის განვლო ყველა სტადია, სინდისი არ აქვს ერთი ფიორი; სამაგიეროდ, ის ოსტატია - თვალთმაქცობისა და აფიორის.

3. შამშულა დამცინის ნამეტანბედაც ნამეტანია, ვერ ვხვდება, თვალწინ ხრამია თუ გზა... თვით მანიაკი, ენატანია, გაქსუებული თუქსუსი მტუქსავს.

4. ვერავობის ეტალონი დახტის, ფხაჭუნობს შავი ჭრიჭინა, მომარჯვებული აქვს „რიფმარობა“; რა სიბილწე არ გამოიჩინა, თითს ვკავავ, ამ მხრივ, ნაღდად მაჯობა.

5. იქედნე იქადნება ბოღმით ლამის საკუთარი აიფეთქოს მან ქალა; დედის მუცელს არ უშვია მისნაირი მხანკალა.



I
 ურუმრად ვუსხედ-
 ვართ მაგიდას სამზარე-
 ულოში. დილაა.
 — დღეს რა დღეა?
 მეკითხება დოდო და
 ფაფას მანოდებს.
 — სამშაბათი.
 — რა რიცხვია?
 — რაშია საქმე? რა ხდე-
 ბა?
 — არაფერი ისეთი, უბ-
 რალოდ გეკითხები.
 — ორი ათას თორმეტი
 წლის ოცდაათი ოქტომბე-
 რი, სამშაბათი, — ვუმარ-
 ცვლავ გამოკვეთილად.
 — კარგი, ნუ ყვირი!

— 1953 წლის 30 ოქტომბერს მე და შენ მოლოტო-
 ვის სახელობის რაიონის ზაგსში მოვანერეთ ხელი. ეს
 იყო ორმოცდაცხრამეტი წლის წინათ! — ჩავახველე.
 — შენ რა, არ გახსოვდა?
 რაღაც ჩავიბურტყუნე.
 — ჩვენი ხელის მომკიდებელი იყვნენ გურანდა და გუ-
 რამი. — ჩუმად ვარ.
 — ასეა, ვაჟბატონო!
 — მდაა... — ვბუზუნებ.
 — დიახ, დიახ! ღვინო გვაქვს?
 — უნდა გვეკონდეს...
 — ჩამომისხი ცოტა...
 ... მთელი დღე ისე გავიდა, არავინ გამოგვხმაურე-
 ბია.
 საღამოა. ისევ სამზარეულოში ვზივარ. ამჟამად მარ-
 ტო მე. ღვინოს ვწრუპავ.
 მზე ჩადის.
 ტერენტი გრანელის სტრიქონები მახსენდება:

კახილი

ბანა ასეთად დაიბადა, როგორც გახდა. ის დაი-
 ბადა სწორად ისეთად, როგორც თქვენ.
 უმანკო, სუფთა, წმინდა, როგორც კვირტიდან
 ამოხეთქილი ყვავილი.
 უბოროტო და კეთილი, ლამაზი, ატმისფერი კანი-
 თა და სიყვარულით სავსე თვალებით.
 როცა ილიმოდა, თვალებიც ულიმოდა, როცა გა-
 ნაწყენდებოდა, თვალები აუნწყლიანდებოდა, ნიკაპი
 აუთორობდებოდა, დაბურცული ტუჩებით ძლივს იკა-
 ვებდა დაგუბებულ ტირილს და ამოხეთქავდა და ამო-
 აყოლებდა პატარა გულში მიღებულ წყენას, ზუსტად
 ისე, როგორც თქვენ. მშობლების მოფერებაზე უცბად
 ივინყებდა წყენას და დედის მუხლებზე იწყებს ბუქ-
 ნას, ტიტინს.
 რა ბედნიერებაა ოჯახში პატარა, მთელი ოჯახი სიყ-
 ვარულით და მზრუნველობით ეკიდება მის აღზრდას.
 იზრდება პატარა. აი, სამზადისი საბავშვო ბაღში
 წასასვლელად, სადაც მას უყალიბდება აზროვნება.
 ეჩვევა ბავშვებთან ურთიერთობას, მეგობრობას და
 სკოლას ყოველმხრივ შემზადებული ხვდება.
 შეჭარბიან მშობლებს, ბებია-ბაბუებს. ყოველი მო-
 მატებული წელი მას ბევრ რამეს მატებს.
 სკოლასთან ერთად სპორტი, ცეკვა, მუსიკა, უცხო
 ენა, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამე, გარდა ნიგ-
 ნის კითხვისა.
 გაოგნებული ბავშვი აქეთ-იქით აწყდება და საბო-
 ლო გადაწყვეტილებას ისევ მშობლები იღებენ, რო-
 მელ პროფესიას აზიარონ შვილი და საბუთებიც თავის
 გადწყვეტილებით შეაქვთ უმაღლეს სასწავლებელში.
 ვინ ეკითხება მოზარდს, რა უნდა.
 სად აერია ამ მიაშიტ და მშობლების მორჩილ ბავშვს
 ცხოვრების წესი, როდის მოხდა, სად მოხდა, რატომ,
 რისთვის.
 ვის ნაუკითხავს მისთვის ქართული ზღაპრები, ან
 ასაკის მატებასთან ერთად სათავგადასავლო, რაინ-
 დული სულისკვეთებით აღსავსე წიგნები, სადაც ბიჭს
 თავისი თავი უნდა დაენახა სიკეთის მკეთებლად, ასევე
 გმირის საქციელში. ის კი, მშობლების მიღმა აღმოჩნდა
 თუ არა, მიეტანა ყველაფერს იმას, რაც გააზრებულად
 არ იცოდა, მხოლოდ აკრძალვით იცოდა.
 გაჩნდა ინტერესი, რატომ მიშლიან, მოვსინჯავ და თუ
 არ მომენონება მეორედ აღარ ვიზამ. სხვა თუ აკეთებს,
 მეც გავაკეთებ, რომ არ გავაკეთო, ვაი თუ დამცინონ.
 ერთ უზნეობას მეორე მოჰყვას, მეორეს — მესამე.
 ოჯახს გაერიყა, ჩაიკეტა თავის თავში, ცდილობს,
 მშობლებს ხელიდან დაუსხლტეს.
 მშობლებს დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი
 რჩება შვილის საქციელი, ენდობიან, უჯერებენ, მი-
 სი ტყუილიც მართალი ჰგონიათ. თავისი პრობლემე-
 ბიც ბევრი აქვთ და ამ მიმართულებით ყურადღება
 მოადუნეს.
 უფროსების ყოველ კითხვას აგრესიულად პა-
 სუხობს, რომ უკვე დიდია და მის საქმეში ნუ ერევი-
 ან და ა. შ.
 გაბედა და ნასვამი მოვიდა, გაბედა და რაღაცით გაბ-
 რუებული მოვიდა, უაზრო სიცილით და დაუოკებე-
 ლი მადით.
 გაბედა და ღამეც არ მოვიდა სახლში.
 გათიშული მობილური, რომ არ ეძებონ, მშობლე-
 ბის ღელვა, ნერვიულობა, უშედეგოდ ძებნა, უძილო
 ღამეები.

მძიმეა წლები...

„... რა მალე დავბერებულვარ!
 ნეტარ, სადა და როდისა?“
 ვაჟა-ფშაველა

... შემოდგომის საღამოა მშვიდი,
 სიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...
 დოდო თავის ოთახშია.
 მტანჯველი სიმყუდროვეა.
 ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა
 იყოს.

II
 უჩვეულო დროს ირეკება ზარი. ამ დროისთვის არა-
 ვის ველი.
 — ვინ ბრძანდებით? — ვეკითხები მოსულს.
 გარედან გაურკვეველი ფრაზებით მიპასუხებს ქა-
 ლის ხმა.
 კარი გამოვალე.
 შუახნის ქალბატონი დგას დიდი ჩანთით ხელში.
 — რა გნებავდათ?
 — მე ძველ ტანსაცმელს ვაბრუნებ... — მიპასუხებს.
 — რომელ ძველ ტანსაცმელს, ქალბატონო? — ვერ გა-
 ვერკვივ.
 — აი, თუ რამე დაგიძველდათ, მაგალითად, პერან-
 გის საყვლო, ან პიჯაკი, შემძლია გადავაბრუნო, გა-
 ვახსო.
 — აჰა! გასაგებია, — ნახევრად მივუხვდი ნათქვამს.
 — გმადლობთ, მაგრამ... ნეტა გამაცვეთია ის, რაც გა-
 მაჩნია.
 ქალს უხერხულად ეღიმება. გაბრუნდა.

ბტოს აცდენილი, გზაბნეული პაცატა ბიჭის დაბტუნება

გამოჩნდება როცა უნდა, ისიც ფულის საჭიროების
 გამო. მიდის, სადაც უნდა და როცა უნდა. სახლში შუ-
 ალაშისას მოჰყვას თავისნაირი გზას აცდენილი თანა-
 ტოლებიც და მასზე უფროსებიც, ასევე აღვირახსნილი
 გოგონები. იწყება ხმაურიანი ღრეობები და უფრო-
 სების მიმართ მოურიდებელი უზნეობანი.
 ნავიდა ბიჭი ხელიდან!
 მან არ იცის და ვერც ხვდება, თუ რა დიდი საფრთხის
 წინაშე აღმოჩნდა.
 მოსწონს ყოველივე: ხელაღებული ცხოვრება, სულ
 გაბრუებული ყოფნა. აზროვნება აღარ ემორჩილება,
 ვინაიდან სულ ბურუსის მდგომარეობაშია.
 მის მომავალ ცხოვრებაზე მხოლოდ დადარდიანე-
 ბული ოჯახის წევრები ნერვიულობენ და ყოველგვარ
 გამოსავალს ეძებენ მის საშველად, რაშიც ბიჭი არ
 ჰყვება და აგრესია განეგ-გამოწვევამდე მიდის მშობ-
 ლების მიმართ და ყველა იმით მიმართ, ვინც ცდილობს,
 ჭკუა დაარიგოს.
 ყველა მეგობარი გზადაგზა ჩამოშორდა. შერჩა ბიჭი
 თავისნაირ უსაქციელო, ოჯახებიდან ქუჩაში გადა-
 ბარგებულ ლოთებს და ნარკომანებს, რომლებიც დღე-
 ნიადგ მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ დაიოკონ უკვე
 ყოველგვარ ზღვარს გადასული ლტოლვა.
 ფულის შოვნა. აი მთავარი არსი მათი ცხოვრები-
 სა. უთავმოყვარეოდ ედებიან ლობე-ყორეს, სულ ერ-
 თია, რა გზით იშოვიან. ყველა ხერხი, მოტყუებით, გა-
 მოძალავით, სახლიდან ჩუმად თუ ცხადივც ნივთების
 გატანით და ლომბარდში კაპიკებად ჩაბარებით. და
 საბოლოოდ დაკარგვით.
 ბიჭი აღარ ერიდება, აღარც რცხენია ვისთან მი-
 ვა და რა შეთხზულ მიზეზს მოუყვება, ოღონდ ის დღე
 დაიკმაყოფილოს და სხვა არას დაეძებს.
 სად სძინავს, ვისთან ერთად, რა პირობებში, სად
 უთენდება, სად უღამდება, რას ჭამს და რას სვამს,
 ჭუჭყის ობი მოსდებია. დახეთქილი სისხლმდენი ვე-
 ნები... თუ წუთიერად აღმოჩნდა ოდნავ შეფხიზლებულ
 მდგომარეობაში, მაშინ გრძობს თუ როგორ ჩასახლე-
 ბია ჯოჯოხეთური ტკივილი მთელ სხეულში, ემტე-
 რევა ყოველი კუნთი და სახსარი, რამ დაუპარგა ფე-
 რი და ხორცი, ამოღამებული თვალები.
 ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი ბიჭი გაქრა
 სადღაც, ეძებენ მშობლები, მეგობრები და ყველა, ვინც
 შემორჩა კეთილის მსურველი, მაგრამ ამაოდ. მის მა-
 გივრად ყველგან, მხოლოდ ეშმაკად ქცეულს აწყდე-
 ბიან.
 იყვირე, იყვირე რაც ძალი და ღონე შეგჩა, ვიდრე
 ყვირილის თავი გაქვს. უკანასკნელი ღონე მოიკრი-
 ბე, წამოდექი, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის.
 მომენდე, საშველად ბევრი გამოგონწვევის ხელს,
 ოღონდ შენ მოინდომე, მიჰყვივი მათ რჩევას, მარტო ვერ

— უკაცრავად, — ვაჩერებ. — მე თუ გადამაბრუნებთ?
 — მოვინდომე გახუმრება.
 შეჩერდა. ვერ მიმისვდა ნათქვამს.
 — საკმაოდ გავცვით და...
 მოსულმა რაღაც ჩაილაპარაკა და კიბეებს ჩაუყვია.

III
 შიბინდებულ იყო, შინ რომ დაგებუნდი.
 დოდოს კარის გაღება შეაგვიანდა.
 — რა, გეძინა?
 — არა, ბუხარი დავანთე და...
 — რაო? რა დროს ბუხარია?
 — რა ვიცი, შემცივდა.
 „ზალაში“ შევდივარ. ცეცხლის ენები იკლავება ბუ-
 ხარში.
 მშენიერი სურათია.
 დოდო რკინის საკეციტო იქექება ნაკვერჩხლებში.
 ჭილოფით განყობილი საქანელა სკამი მივაჩოჩე
 ცეცხლთან და წვალეებით ჩავეშვი.
 — რა კარგი ვქენით, არა, ბუხარი რომ ამოვაშენეთ?
 ჩუქურთმებიც რა ლამაზია... შემა უნდა მოვატანინო
 ბიჭებს, ცოტა დარჩა.
 — ზამთრამდის რაღაცას მოვახერხებთ.
 — ზამთარს ვერ დაველოდები, ხშირად უნდა გავით-
 ბო წელი.
 ... მართალი ხარ, ჩემო დოდო, ჩვენი ზამთარი კარ-
 გა ხანია დადგა!

გურამ გოგართელი 2012 წ.

ჟოჯოჯის ერთი ლექსი

წუთისოფელი

მაგანი იტყვის — ხანმოკლეა წუთისოფელი...
 მოგაგონდება თაკანა დღე, წისქვილის წყალი,
 ლელქაშის ჩრდილი, მოლივლივე მზის ათინათი,
 ნემსიყლაპია განინდვით მფრენი და
 გამოწვდილი ძმაკაცის ხელი —
 წყალში ტკბილია თვით მკვახე ვაშლიც.

ციდან ჩამოდის კვირიონთა სევდიანი ხმა.
 მონღანე ნიავს ძაღლის ყეფა მოჰყვება რწევით
 და მამლის ყივილს იტაცებს ჩქენი.
 წამით ჩერდება ყოველივე და იტვიფრება გულის
 სიღრმეში,
 ფოთლისა მსგავსად, დავანებულს უხსოვარ შრეში.
 მაგანი იტყვის — ხანმოკლეა წუთისოფელი...
 ამქვეყნად მოსულს არ აქვს სასწული,
 თუ სული მისი იტყვს ქვეყანას.

ზურაბ არსენიშვილი



მოერევი. ნუ გეშინია, შენთან არის ღმერთი, რომელიც
 შენგან თხოვნას ელის. რამხელა ძალა გიდგას უკან,
 განამებული მშობლები, ბებია-ბაბუები, ახლობლე-
 ბი, ჯერ კიდევ არსებობს წამალი შენი გადარჩენისა,
 მთავარი კი ისევ შენ ხარ, მოიკრიბე ძალები, იპოვე
 შენში მიძინებული ვაჟკაცობა, ნებისყოფა და დაუბ-
 რუნდი შენს თავს, განდევნე შენგან შენი სისუსტით
 გათავცხებული ურჩხული, დაარწმუნე შენი თავი შენ
 ძალებში.
 მჯერა ყველაფერს სძლევე და სიცოცხლის ბედნიე-
 რებას ახლებურად, მონატრებული დაუბრუნდები და
 იგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ყოფილა შესაძლებელი იყო
 ჯანმრთელი, ვაჟკაცი, სიტყვის პატრონი და ღირსე-
 ბადაბრუნებული. უკან ნულარ გაიხედავ. იქ მხოლოდ
 ცუდი დაგრჩა, რის გამოც შეგრცხვება.
 წინ იყურე, სადაც ბედნიერებაა, სიხარული, სიყვა-
 რული და აღდგენილი ღირსება გელოდება.
 შენი იმედი აქვს შენ ოჯახს, შენ ხალხს, — შენ ქვე-
 ყანას, ყოველთვის აკეთე ის საქმე, რისი უნარიც ღმერ-
 თმა გიბოძა.
 ერთ მშენიერ დილით, როცა ჩიტუნების ჭიჭიკი
 ცუდი სიზმრიდან გამოგაფხიზლებს და ფართოდ
 გაახელ თვალებს, იტყვი —
 — გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის!
 გმადლობ, მშობლებო, მოთმინებისთვის, გამძლეო-
 ბისთვის, სულგრძელობისთვის, სიყვარულისთვის, გა-
 თენებული უძილო ღამეებისთვის და არ დაკარგული
 იმედისთვის.
 მაპატიე! მე დაგიბრუნდით!

მარიკა კვალიაშვილი

შუბი ხელთში

პრეზიდენტი გამჭვირვალდა!

ამჯერად გა-ვიხსენებ მხოლოდ იმას, წინა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე დეპუტატმა ჯონი ბალათურამ რა სიმწრის ცრემლები ალვრეინა გამჭვირვალობის მეზობრასტრე მიხეილ სააკაშვილს, როცა პირადად პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები კორუფციასა და მომხვეჭელობაში დაადანაშაულა. როგორც ბალათურამ განაცხადა, „თქვენსმეტამდე საგანმანათლებლო დანსებულების ხელში ჩაგდება პრეზიდენტის დედამ გიული ალასანიამ, მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, რაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა“. მისი თქმით, „ქვეყანაში ორი მონოპოლისტური კლანი ჩამოყალიბდა. ერთს თურქულ კაპიტალთან ერთად გიული ალასანია, ხოლო მეორეს რუსულ კაპიტალთან ერთად ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე ხელმძღვანელობს“.

გორიც სააკაშვილის ნათესავეებსა და ოჯახის წევრებს. და აი, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც „ღირსეულად აგრძელებს“ სააკაშვილის მიერ დანსებულ გამჭვირვალობის პოლიტიკას, გადამწყვიტა, გამოემხურებინა და გამჭვირვალე გაეხადა ლატაკი ქვეყნის უმდიდრესი პრეზიდენტის ზღაპრული სასახლისა და პირადად მის მომსახურებაში განეული მილიონობით თანხები, რაც უმძიმეს ტვირთად ანივება სახელმწიფო ბიუჯეტსა და ეკონომიკურად ილაგვანყვეტილ მოსახლეობას. „ამორალურია, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, - რომ ქვეყანაში, სადაც ამდენი გაჭირვებულადამიანი ცხოვრობს, პრეზიდენტის მომსახურებაზე ამხელა თანხები იხარჯებოდეს. წლეულს 800 ათასი ლარი მხოლოდ პრეზიდენტის სასახლის ელექტროენერჯის გადასახადისთვის გამოიყო. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტთან ყოველთვიურად 800 000 ლარი ირიცხება სააკაშვილის მეორე თვითმფრინავის შენახვაზე, პირველი თვითმფრინავის ხარჯები ჯერ ისე გაურკვეველია“. პრეზიდენტის განმარტებით, მომავალში ასეთი ტიპის დაფინანსება აღარ იქნება და შეიკვეცება. როგორია გამჭვირვალობის მოყვარული პრეზიდენტის ყურადღებულბობა ხელმძღვანელებს პრეზიდენტის თაოსნობაზე? თქვენ წარმოიდგინეთ, ფრიად დადებითი. ზოგი მის ადგილზე განაწყენდებოდა, ყოველ შემთხვევაში, გაფხუკიანდებოდა მაინც, სააკაშვილი კი ეს ყველაფერი ისე მიიღო, როგორც დადინჯებულ-დაბრძენებული ფსიქიკის მქონე თავკაცს შეეფერება. პრეზიდენტი „ნასამოვნებია“ ახალი ხელისუფლების მომჭირნეობით, რაც ჩანს კიდევ საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებული

განცხადებიდან, რომელშიც ნათქვამია: „პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მისთვის ხარჯების შემცირების გამო, იძულებულია, პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განათება გამოერთოს“. ერთადერთი ვინც ამ „უსამართლობამ“ შეაშფოთა, „მაესტროს“ ტელენამყვანი ვასიკო ოდიშელია, რომელმაც სააკაშვილს შეუთვალა: არ იდარდო, ჩემო „მაღალ“, სინათლე თუ გამოგირთეს, ჩემს ფარანს გათხოვებ და შეგიძლია შევარდნაძის „მეშურების“ კითხვა სალამოობით მშვიდად გააგრძელოო(!). საქართველოს გამჭვირვალე პრეზიდენტის თბილისური სასახლის გამჭვირვალობის ამბავი (უშუქობას ვგულისხმობ) რომ შევიტყვე, მაშინვე მზერა სააკაშვილის ყვარლისეულ დედულ-მამულისკენ გამეცქა, მაგრამ გამახსენდა, რომ კახეთში ჯერაც გუბერნატორად ქვეყნის „გამორჩეული პატრიოტი“ ჭიბბერაშვილი ზის და უმალვე დავმშვიდდი. ის იმ ყაიდის უცაია, რომ არა მგონია, მოარულ ფეხისხმას აჰყვეს და პრეზიდენტს ყვარლის მამულში დენი გამოერთოს, მით უფრო, რომ სააკაშვილის განცხადებით, იქ ყველაფერი საკუთარი ხელფასიდან დანაზოგით შეიძინა. ერთადერთი რაც მაფიქრებს, შეიძლება ვენახის წამლობაზე განეული უყარათო ხარჯები იყოს (მახსენდება აპარატმოკიდებულ პრეზიდენტი წამალს ფოთლების ნაცვლად ვაზის ძირებს რომ ასხამდა!). მაგრამ თუკი ამ წამალშიც ბიუჯეტის თანხები კი არა, საკუთარი ფული აქვს დახარჯული, რას ერჩი, ტყუილბურალოდ ვერაფერს შეედავები. მორჩა და გათავდა, გინდაც ბიძინა ივანიშვილი იყო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ გამოედავები!

თარიღი



ამაგდარი

ღვთალოსილ ცნობილ პერაბატიმოსს - ბატონ ზერო აბაშაძეს 80 წელი შეუსრულდა

ზერო აბაშაძემ დაიბადა ქ. ოზურგეთში 1932 წლის 10 ნოემბერს, სადაც საშუალო სკოლის ფრადზე (მედალზე) დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერჯეტიკის ფაკულტეტზე, რომლის ე.წ. „წითელ დიპლომზე“ დამთავრებისთანავე 1955 წლიდან 2000 წლამდე უწყვეტად მუშაობდა „საქმთავენერგოში“, სადაც რიგითი დისპეტჩერობიდან მისი საქმისადმი ჩვეული უდიდესი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით, წარმატებით განვლო თითქმის ყველა საფეხური „საქმთავენერგოს“ უფროსის პირველ მოადგილის თანამდებობამდე. ბატონი ზერო აქტიურად ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლების, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსების, ჩაის პლანტაციების და მაღალმთიანი სოფლების ელექტრიფიკაციას, ასევე ხევეურეთში მიკროელექტროსადგურების მშენებლობებს.

მისი ასევე დიდი ძალისხმევით განხორციელებულია აჭარიდან და სვანეთიდან სტიქიის გამო გადასახლებულთა დასახლებების ელექტრიფიკაცია. ალსანიშნავია, აგრეთვე, კავკასიონის ქედზე 500კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ახალ ტრასაზე გადატანისთვის ჩატარებული სამუშაოების ბრწყინვალე შესრულება. გარდა შემოაღნიშნული საქმიანობისა, ბატონი ზერო აბაშაძის მიერ კოდორის ხეობის სოფლების ელექტრიფიკაციის მიზნით ორგანიზება ჩატარდა 10 მიკროელექტროსადგურის პროექტირებასაც, რის შემდგომ ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ პროექტების განხორციელებას, აგრეთვე სოხუმის და მასთან მიმდებარე რაიონებისა და სოფლების ელექტრიფიკაციას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი ზეროს წესიერება და კაცთმოყვარეობა, მისი უდიდესი მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის გრძობა - მისი დიდი პატრიოტიზმი.

ალსანიშნავია, რომ აფხაზეთიდან დევნილთა დასმარების ფონდში შეიტანა ქორწინების ოქროს ბეჭედი და სკოლის წარჩინებით დამთავრებისას მიღებული მედალი.

2005 წელს სტიქიის შედეგად უბინაოდ დარჩენილთა დასახმარებლად სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა ოზურგეთში კუთვნილი ორსართულიანი მამისეული სახლი.

ბატონი ზეროს პატიოსანი შრომა ღირსეულად დაფასდა - მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ენერჯეტიკოსის, საქართველოს ელექტროენერჯეტიკის დამსახურებული მუშაკის და დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები, იგი არის საქართველოს ენერჯეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი, დაჯილდოებულია ხალხთა შორის მეგობრობის ორდენით.

ბატონი ზერო, გილოცავთ საიუბილეო თარიღს - დაბადებიდან 80 წელს და დამდეგ შობა-ახალ წელს - გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ყოველივე კარგს, თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად!

საპარტეზილოს ენერგატიკის მუშაკთა პროფსინიული კავშირი, საპარტეზილოს ენერგატიკის ვეტირანთა კავშირი.

პოლიტიკური დევნა

უღირსი პრეზიდენტისგან ღირსების ორდენს ვერ მივიღებდი!

„ნაციონალური მოძრაობა“ არის უკეთურთა ბრბო - არა სამშობლო, არა ოჯახისშვილობა, არა მოქალაქეობა, არა ეროვნულბოძანუთო დამთავრდა ეს კოშმარი?! საგარეჯოს ორი მოწვევის საკრებულოს დეპუტატმა, საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის სამედიცინო მენეჯერმა, ყოფილი პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანების მთავარმა ექიმმა ლეილა ოტიაშვილმა „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებამდე დატოვა, რასაც ჯერჯერობით კვლავ ხელისუფლებაში მყოფ ნაციონალთა „ადეკვატური“ რეაქცია მოჰყვა - ქალბატონი ლეილა „არაფეექტიანი“ მუშაობის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ექიმად მუშაობის უფლებაც არ დაუტოვეს, თუმცა, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მისთვის ღირსების ორდენი უნდა გადაეცათ!

რატომ თქვა უარი ღირსების ორდენზე, რა მოხდა საგარეჯოში და რატომ ადანაშაულებენ მას „ნაციონალთა“ დამარცხებაში, - გვესაუბრება ექიმის სამი ლიცენზიისა და საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი სამედიცინო მენეჯერის სველი ში, II სამედიცინო ნაშრომის ავტორი, ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფის მიერ კონკურსით შერჩეული სამედიცინო მენეჯერი, ოჯახის ექიმთა საერთაშორისო ასოციაციის კახეთის რეგიონალური კოორდინატორი ლეილა ოტიაშვილი.

- ძალბატონო ლეილა, როგორ მოხვდით იმ გაუგებრობაში, რასაც „ნაციონალთა“ საარჩევნო შტაბში მუშაობა ჰქვია?
- იძულებით! როცა პირდაპირ გეუბნებიან, დანერ განცხადებას და ნახვალ სამსახურიდან, ვერც შენი შვილი ვეღარ იძულებული ხდები, დათანხმდ! ცხედავდი ხალხის დიდ უკმაყოფილებას. მათ უმრავლესობას წამლის საყიდელი ფული არა აქვს და როგორ უნდა მივსულიყავი მათთან და ხელისუფლების აპოლოგებლობა მეკისრა?!
ციხის კადრების გავრცელების შემდეგ საქმიანობის გაგრძელება აღარ შემეძლო! საარჩევნო შტაბში განაცხადე - ყველაფერს ვტოვებ და მივდივარ, როგორც ადამიანს, ექიმს ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შემეძლია მეთქი. საარჩევნო პროცესში აქტიურად იყო ჩართული ჯანდაცვის მაშინდელი მინისტრი ჭიბბერაშვილი. იგი პირადად დამემუქრა - ჩვენ მაინც უმრავლესობით მოვალთ

პარლამენტში, რამდენ პროცენტსაც მოიტან, იმის მიხედვით გადაწყდება, დარჩები თუ არა, არც ის დაგავინყდე, 18 წელია მთავარი ექიმი ხარ, შენი წარსულიც გადაიხსენებო. მითხრეს, თუ გინდა, სამსახური შეინარჩუნო, შტაბში მუშაობა უნდა გააგრძელო. ჩემთვის მოულოდნელად, არჩევნებამდე დღით ადრე შემატყობინეს, რომ მინისტრს ღირსების ორდენი უნდა გადაეცათ. არც მივსულვარ - უღირსი პრეზიდენტისგან ღირსების ორდენს ვერ ავიღებდი!

- თუ არჩევნებამდე ღირსების ორდენს იმსახურებდით, არჩევნების შემდეგ რა მოხდა?
- ჩემი გათავისუფლება არჩევნებამდე დაიგეგმა და როდესაც ჩემს უბანზე ცუდი შედეგი დადგა, მე დამბარბულეს. პირდაპირ მითხრეს, შენ რომ გვერდში დაგვდგომოდი, გავიმარჯვებდითო. ყველამ იცოდა, რომ მათ პოლიტიკას ვენინალმდეგებოდი. ჩემს მიმართ განხორციელებული ზენოლის შესახებ იცოდნენ „ქართული ოცნების“ შტაბში. არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ გამომიხცადეს, სამსახურიდან გათავისუფლებული ხარო.

- ოფიციალურ მიზეზად რა დაგისახელეს?
- ჩვენ რა შუაში ვართ, შენმა ხელისუფლებამ გაგათავისუფლაო. „არაფეექტიანი“ მუშაობის გამო გამათავისუფლეს. მუქარა არჩევნებამდე განხორციელდა. სისრულეში მოიყვანეს ყოფილმა მინისტრმა, დღეს უკვე კახეთის გუბერნატორმა ჭიბბერაშვილმა და სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის კუთვნილმა კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ და „ირომ“ და მისი მართვის ჯგუფმა „ჯეოპროსპექტალსმა“.

ჩემი თანამდებობა, პირველ რიგში, შეენირა ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას და წინააღმდეგობას „ნაციონალური მოძრაობისა“ და სადაზღვევო კომპანიის მახინჯი პოლიტიკის მიმართ. ამის შესახებ ყოველთვის მაფრთხილებდნენ, რომ ყოფილიყავი უფრო ზომიერი, მაგრამ ვერ შევქელი, შევგუბოდი ამ სიმახინჯეს, სამედიცინო მომსახურების არაადეკვატურ მოდელს, რაც სასტიკად აისახება პაციენტებზე. კერძოდ, ძალიან დიდი დარღვევით გაიყიდა საგარეჯოს პოლიკლინიკა, რომლის რეალური ღირებულება არის 1 900 000 ლარი, არადა, „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ იყიდა 40 000 ლარად.

ნ. 11 გ3

კალათბურთი

ქართული მონაბარი



მწიკრების ჯგუფური რაუნდის პირველი წრის ფინალში ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს, მაგრამ თუ თელავის „მაკაბისტის“ ეს ზედიზედ მესამე წარმატება იყო, რამაც ისრაელის უძლიერეს გუნდს პრაქტიკულად გაუნადგო მორიგ ეტაპზე თამაშის უფლება,

„კანტუს“ საამისოდ დიდი ოფლის-დგრა მოუწევს. „ალბა“ - „მაკაბი“ 76:78; გიორგი შერმადინი - 7 ქულა, 2 მოხსნა (13 წუთში). „კანტუს“ - „ფენერბახჩე“ 82:58. მანუჩარ მარკოშვილი - 6 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება (20 წუთში). დანარჩენი შეხვედრებიდან

დიდ ინტერესს იწვევდა „დ“ ჯგუფის დაუმარცხებელ ლიდერთა - ცსკასა და „ბარსელონას“ დუელი, რომელსაც რუსეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. კატალონიურმა გრანდმა თავმოყვარეობა შეუღალა მრისხანე მეტოქეს - 81:60 და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წლებგანდელი გათამაშების უმთავრესი ფავორიტია.

გაუნწყებთ კიდევ რამდენიმე მატჩის შედეგს: „შალინი“ - „უნიკახა“ 78:88, „მილანი“ - „ოლიმპიკოსი“ 71:84, „ლიეტუვას რიტასი“ - „ბე-შიქთაში“ 67:73.

ამ დღეებში ქართულმა დუეტმა ნა-ს შეხვედრებშიც მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით იყოჩაღა ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც „ინდიანასთან“ 89:86 მოგებულ მძაფრ ბრძოლაში „ატლანტას“ 6 ქულა, 14 (!) მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა შეაწია.

რაც შეეხება თორნიკე შენგელიას, პროფესიულ კალათბურთში დებიუტი ნა-ს მოქმედ ჩემპიონ „მაიაისტანს“ საჯარიმოებით მოგროვებული პირველი 2 ქულით აღნიშნა (12 წუთში), რასაც 1 მოხსნა დაუმატა. როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდის ერთ-ერთ ლიდერ ჯერალდ უოლესის გარეშე მოასპარეზე „ბრუკლინი“ ფავორიტთან სოლიდური უპირატესობით შერცხვა - 73:103.

ვიტალი ჯაფარიძე

რაგბი

ლეგენდა - „პორჯღალოსანთა“ შემხედ

საძმართმშელოს მორაგბეთა ნაკრები 17 და 24 ნოემბერს იაპონიისა და ფიჯის ეროვნულ გუნდებთან ორ ტესტ-მატჩს ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართავს. „პორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილტონ ჰეიგმა „ოლ ბლექსის“ ყოფილი სახელოვანი კაპიტანი, მსოფლიო რაგბის ახალზელანდიელი ლეგენდა ტანუ უმაგა ჩვენის ნაკრების უკანა ხაზის გასაწვრთნელად მოიწვია. უმაგას წინამძღოლობით „ოლ ბლექსმა“ 21 მატჩი გამართა და აქედან 19 მოიგო, ეროვნულ ნაკრებში 74 კეპი მოიხვეჭა, ზერაგბის გათამაშებაში 111 მატჩი გამართა, 2000 წელს ახალი ზელანდიის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს. წლეულს მისმა განვრთნილმა „ქაუნთის მანუკაუმ“ თავის დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა და მომავალი წლიდან ახალი ზელანდიის ჩემპიონატის ელიტის საუკეთესო შვიდეულში მოსინჯავს ძალებს.



„საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგს ახლოს ვიცნობ, რომელთანაც მიმუშავია კიდევ. თქვენი ეროვნული გუნდის თამაში ახალზელანდიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახე და მომეწონა, თუმცა მანამდე გია ლაბაძესა და დავით ქუბრიანოვილთან ერთად მითამაშია. კარგი მორკინალები არიან. ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ნოემბრის ტესტებისთვის დაეხმარები. ვიმედოვნებ, რომ ერთობლივი გარჯა შედეგს გამოიღებს“, - აღნიშნა საპატიო სტუმარმა.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ხანმოკლე საწვრთნელი შეკრება ტულუზაში გაიარა. 17 ნოემბრის მატჩისათვის კი ამჟამად თბილისში ასეთი შემადგენლობით ემზადება: დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ვასილ კაკოვინი, დავით ზირაქაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, დავით ქუბრიანოვილი, მიხეილ ნარიანოვილი, შალვა მამუკაშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, ვახტანგ მაისურაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, ბექა ბინაძე, გიორგი თბილაიშვილი, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი ბუქაძე, ვაჟა ხუციშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა მაღალურაძე, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე, დავით კაჭარავა, თედო ზიზიბაძე, რეზო გიგაური, ირაკლი მანხანელი, ალექსანდრე თოდუა, გიორგი ფრუიძე, თამაზ მჭედლიძე, ირაკლი ყიასაშვილი, საბა ნიკოლაძე.

„საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგს ახლოს ვიცნობ, რომელთანაც მიმუშავია კიდევ. თქვენი ეროვნული გუნდის თამაში ახალზელანდიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახე და მომეწონა, თუმცა მანამდე გია ლაბაძესა და დავით ქუბრიანოვილთან ერთად მითამაშია. კარგი მორკინალები არიან. ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ნოემბრის ტესტებისთვის დაეხმარები. ვიმედოვნებ, რომ ერთობლივი გარჯა შედეგს გამოიღებს“, - აღნიშნა საპატიო სტუმარმა.

ლემსო ცინცაძე

ფეხბურთი

მწიკრების სტადიონებზე

გამომართა ევროპის ლიგის ჯგუფური ტურნირის IV ტურის შეხვედრები. გაუნწყებთ მათ შედეგებს:

- „ა“ ჯგუფი. „ანჟი“ - „ლივერპული“ 1:0, „უდინგენი“ - „იანგ ბოიზი“ 2:3. „ანჟი“ - 7, „ლივერპული“ - „იანგ ბოიზი“ - 6-6, „უდინგენი“ - 4 ქულა. „ბ“ ჯგუფი. „აკადემიკა“ - „ატლეტისკო“ 2:0, „პლზენი“ - „ჰაპო-ელი“ 4:0. „პლზენი“ - „ატლეტისკო“ - 9-9,

- „აკადემიკა“ - 4, „ჰაპოელი“ - 1 ქულა. „ბ“ ჯგუფი. „მარსელი“ - „გლადბახი“ 2:2, „ფენერბახჩე“ - აელ 2:0. „ფენერბახჩე“ - 10, „მარსელი“, „გლადბახი“ - 5-5, აელ - 1 ქულა. „დ“ ჯგუფი. „ბორდო“ - „მარიტიმი“ 1:0, „ბრიუგე“ - „ნიუკასლი“ 2:2. „ნიუკასლი“ - 8, „ბორდო“ - 7, „ბრიუგე“ - 4, „მარიტიმი“ - 2 ქულა. „ე“ ჯგუფი. „კოპენჰაგენი“ - „შტუტგარტი“ 0:2, „მიოლდე“ - „სტიაუა“ 1:2. „სტიაუა“ - 10, „შტუტგარტი“ - 5, „კოპენჰაგენი“ - 4, „მიოლდე“ - 3 ქულა. „ვ“ ჯგუფი. „ნაპოლი“ - „დნიპრო“ 4:2, აიკ - „ინდჰოვენი“ 1:0. „დნიპრო“ - 9, „ნაპოლი“ - 6, „ინდჰოვენი“, აიკ - 4-4 ქულა. „ზ“ ჯგუფი.




- „ბაზელი“ - „ვიდუოტონი“ 1:0, „სპორტიინგი“ - „გენკი“ 1:1. „გენკი“ - 8, „ვიდუოტონი“ - 6, „ბაზელი“ - 5, „სპორტიინგი“ - 2 ქულა. „თ“ ჯგუფი. „ნეფთჩი“ - „რუბინი“ 0:1, „პარტიზანი“ - „ინტერი“ 1:3. „ინტერი“, „რუბინი“ - 10-10, „ნეფთჩი“, „პარტიზანი“ - 1-1 ქულა. „ი“ ჯგუფი. „ბილბაო“ - „ლიონი“ 2:3, „ირონი“ - „სპარტა“ - 1:1. „ლიონი“ - 12, „სპარტა“ - 7, „ირონი“ - 2, „ბილბაო“ - 1 ქულა. „კ“ ჯგუფი. „ლაციო“ - „პანათინაიკოსი“ 3:0, „ტოტენჰემი“ - „მარბორი“ 3:1. „ლაციო“ - 8, „ტოტენჰემი“ - 6, „მარბორი“ - 4, „პანათინაიკოსი“ - 2 ქულა. „ლ“ ჯგუფი. „ლივერპული“ - „რაპიდ“ 3:0, „მეტალისტა“ - „რუსენბორგი“ 3:1. „ლივერპული“, „მეტალისტა“ - 10-10, „რუსენბორგი“ - 3, „რაპიდი“ - 0 ქულა. „მ“ ჯგუფი. „ტვენტი“ - „ლევანტე“ 0:0, „ჰანოვერი“ - „ჰელსინგბორგი“ 3:2. „ჰანოვერი“ - 10, „ლევანტე“ - 7, „ტვენტი“ - 3, „ჰელსინგბორგი“ - 1 ქულა.

მანუჩარ ბიორაძე

კარატე

უხვი ნადავლი

იბპუნსის კარატე დოს საერთაშორისო ასოციაციისა და ბულგარეთის კარატე დოს ფედერაციის ორგანიზებით სოფიაში 2-4 ნოემბერს გაიმართა კარატე დოს IX საერთაშორისო სემინარი და ტურნირი, რომლის მთავარი მსაჯე იყო ამავდ ორგანიზაციის უფროსი ინსტრუქტორი, IX დანის მფლობელი სადაშიგე კატო. ეს ყოველწლიური ტურნირი იმართება I.-J.K.A.-ის წესებით.



ამ პრესტიჟულ ტურნირსა და სემინარში, რომელშიც ყოველწლიურად ევროპის ქვეყნებიდან გამოცდილი და ძლიერი სპორტსმენები ასპარეზობენ, საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდმა უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა.

შედეგები ასეთია:

ინდივიდუალური კუმითეს კატეგორიაში, 8-9 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში ალექსანდრე ბალიშვილმა, რომელმაც ტატამზე ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო, საქართველოს ოქროს მედალი მოუტანა, ხოლო მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი უფროსთა კატეგორიის ინდივიდუალურ კუმითეში (აბსო-

ნა დღეებში გამართულ ტექნიკურ და თეორიულ სემინარს კარატეში, რომელსაც ოსტატი სადაშიგე კატო ატარებდა, ჩვენმა გუნდმა ზემოთ აღნიშნულ სემინარზე კვლავ მაღალი ტექნიკური და თეორიული ცოდნა აჩვენა, რომელიც შემდგომ ტატამზეც აისახა.

გუნდის დანარჩენი კარატისტები ლევან გელდოშვილი, ბექა ოთარაშვილი, გიორგი გოჩაძე და



ავთანდილ კერესელიძე მართალია ბულგარეთის დედაქალაქში წელს ტურნირის პრიზიორები ვერ გახდნენ, მაგრამ სემინარზე და შეჯიბრებაზე კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინეს.

დავძენთ, რომ ამას წინათ გიორგი გოჩაძე ლიტვის ქალაქ შიაულიაში მსოფლიო კარატეს კონფედერაციის ეგიდით მოწყობილ პლანეტის ჩემპიონატის

ლუტური ნონა) მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონმა მხეჭავაძე მახარაძემ (IV დანი I.-J.K.A Karate) მოიპოვა. მანვე ინდივიდუალურ კატაში III ადგილი დაიკავა. იგივე სინჯის მედალი აიღო აგრეთვე 8-9 წლის ბიჭების ინდივიდუალურ კატაში მოასპარეზე დებიუტანტმა ლუკა მამათავარიშვილმა.

ევროპის პრიზიორი გახდა (14-15 წლიანები, ინდივიდუალური კუმითე, აბსოლუტური ნონა), ხოლო მხეჭავაძე მახარაძემ იტალიურ ტურნირში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე (იაპონიის შოტოკან კარატე დოს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით) III ადგილი დაიკავა (ინდივიდუალური კატა).

გიორგი შოთაძე

გახსენება

მრავალკლიდან აფრენილი არწივი

ძმართველ ფალავნებს მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში მრავალგზის უსახელებიან სამშობლო. ტიტულოვან სპორტსმენთა კომპლექსს ამჟამად თავისი უფალი სტილით მოჭიდავის - გიმორგი სხირტლაძის სახელი. ონის რაიონის სოფელ მრავალქალაქში დაბადებულმა და გაზრდილმა ქალაქმა მალევე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებით. საერთაშორისო სარბიელზე პირველ დიდ გამარჯვებას 1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე გაუსინჯა გემო, თუმცა ყველაზე მეტად გულიც მაშინ ატკინეს: სხირტლაძემ მწვანე კონტინენტის ოლიმპიურ ხალიჩაზე ყველა მეტოქეს სძლია, მათ შორის - ბულგარელ და თურქ მოჭიდავეებს, მაგრამ დაჯილდოებიდან ცოტა ხნის შემდეგ ამ ორი ფალავნის პროტესტის საფუძველზე ქართველ მოჭიდავეს ორივე მონაწილეობისაგან გააუქმეს და მეორე ადგილს დააჯერეს. ერთი წლის შემდეგ სხირტლაძემ სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერცხლის მედალი დაიმსახურა, 1959 წელს კი თეირანში კვარცხლბეგის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე მესამე ადგილი დაიკავა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ერთხელ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ, ოთხჯერ (1954, 1956, 1957, 1960 წ.წ.) კი საკავშირო ჩემპიონატები მოიგო.



სახელოვან ფალავანს გუშინ 80 წელი შეუსრულდებოდა.

ლაშა დიღია

ეკლესია

ის საუბარო ქუთათელ-განათელ მითროპოლიტ კალისტრატესთან (მარგალიტა შვილი) ა. წ. სექტემბრის ბოლოს შედგა ქუთაისში. ამ საუბრის მოკლე ვარიანტიც, ფოტო-რობო, ფართო საზოგადოებას დაინტერესებს.

შეუფრო, რას გვეტყვიდით ზოგიერთ ღვთისმსახურს შორის გაგრძელებულ უზნეობაზე, რის შესახებაც საზოგადოებისთვის გარკვეულწილად ცნობილია.

ღვთისმსახურნი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან და ისინიც სცოდავენ. ნუ ეძებენ სხვის თვალში ბუნებს, როცა საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავენ. მეუფის ამ კუთხით შეფასებამ დაგვაფიქრა, რამაც მორიგი შეკითხვა განაპირობა.

ვინ უნდა მოჰკითხოს ასეთ ღვთისმსახურებს?

უზნეობის ფაქტებს იხილავს საპატრიარქოს სინოდი სჯულის კანონის შესაბამისად და უზნეო მღვდელმსახური განიკვეთება.

კი, მაგრამ, მსგავსი უზნეობის მაგალითები კვლავაც არაერთია, ანუ უმსგავსო პიროვნებები დღემდე არჩეულნი არიან მღვდელმსახურებას.

რით ახსნით შექმნილ მდგომარეობას, სინოდის უმოქმედობით თუ კიდევ სხვა გარემოებით?

ნუ გავიწყდებათ, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა.

ნუთუ უზნეობის დაცემა ღვთის ნებაა და საკითხის სინოდზე განაწინა არ გაგატანავს ღვთის ნება? და ეს მაშინ, როცა უფალმა ადამიანს მისცა თავისუფლება არჩენისა — სიკეთის ან სიბოროტისა?

ყველაფერი, ერთის მხრივ, ცნობილია უფლისთვის და, ამავდროს, როცა ადამიანი მოინანიებს უზნეო საქციელს, ის ცოდვით მიუტყვევებს.

ე. ი. ადამიანი ჩაიდენს ცოდვას, შემდეგ მოინანიებს, უფალი კი მიუტყვევებს და ამავდროს არც არავინ მოიკითხავს პასუხს არც ერთს და არც ბერში, ის ისევ გააგრძელებს ჩვეულ ცხოვრებას?

უფალი განსჯის და არა მე, ადამიანი, მითროპოლიტი კალისტრატე.

სინოდის წინაშე ვინ უნდა დასვას საკითხი და ზოგადად თქვენ თუ დაგისვამთ ესეთი საკითხი?

ამის უფლება ყველას აქვს და მათ შორის თქვენც, უურნალისტებს.

დაგვიზუსტეთ: თქვენ თუ დაგისვამთ?

რასაკვირველია, თუკი შეგონება მიზანს ვერ აღწევს.

მოიყვანთ მაგალითს?

სინოდს არაერთხელ მივმართე, თუმცა მე სინოდის ერთ-ერთი წევრი ვარ.

რა შედეგი მოჰყვა თქვენს მიმართვებს?

პასუხს არ გაგცემთ, თავს შევიკავებ, და ეს იმიტომ, რომ ტრამპი არ მახასიათებს.

ვთქვათ, ჩვენ მივმართეთ სინოდს, პასუხს ვინ გაგცემს?

„იუნესკოს“ კი არა, რუსეთის გამო მოხდა ეს. ნუთუ თქვენთვის არ არის ცნობილი, რომ ეს ორგანიზაცია მისი დაფუძნების პირველი დღიდან რუსეთის უძლიერესი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ამჟამად ხედავთ თუ არა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თავზე სატანის ნიშანს?

მეუფეს, რატომღაც გაეღიმა.

თქვენ ლამის „აღმერთებდით“ მიხეილ სააკაშვილს. ნუთუ თქვენთვის ცნობილი არ იყო არც პრეზიდენტი ან თქვენი გარემოცვიდან, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი სახელმწიფოებრივი გუნდი სწავლიდნენ ერის, ქვეყნის და სახელმწიფოს წინააღმდეგ უშიშროებას დაწესებულებებს, ანგრევდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას?

მსგავსი მაგალითები ჩემთვის ცნობილი არ არის და სწორედ ამიტომ თქვენს კითხვაზე პასუხს არ გაგცემთ.

შემდეგ დასძინა: პატრიარქის შემდეგ მე მეორე კაცი ვარ, იცოდეთ. სხვა დროს წინასწარ შემითანხმეთ შეხვედრა.

ასე დავემშვიდობეთ პრეზიდენტს სატანის განმადევნელ მაღალ უსამღვდელოესობას, რომელმაც საჭიროდ არ ჩათვალა ჩვენი, როგორც სტუმრების, მართალია, დაუპატიუებლების, შეპატიუება და საათნახვერის განმავლობაში ჭიშკართან გვესაუბრა.

ამ საუბრის საფუძველზე ჩვენი, როგორც საქართველოს მოქალაქეებისა და დედაეკლესიის მრევლის თხოვნაა მართლმადიდებელი ეკლესიის, სინოდისა და პატრიარქის წინაშე, რომ თავიანთი დამოკიდებულება გამოხატონ ჩვენს პუბლიკაციაზე.

აქვე შეგახსენებთ, რომ უურნალისტური გამოძიების სააგენტომ „დრო და სივრცემ“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით 2011 წლის 11 ივნისს მიმართა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას („დადა დრო“), რაზეც, სამწუხაროდ, პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ვაშა კელაურიძე,

თენგიზ ჩხიკვაძე, ქურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

„სად წაიყვან სადაურსა“

კრეპულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

თორნიკე პრისტავი (დაბადების თარიღი უცნობია, გარდაიცვალა 985 წელს)

ქმ ტაოელი ქართველი დიდებულის ჩორდვანელისა, სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სარდალი, ბერად აღკვეცის შემდეგ იონანდ წოდებული.



ერთხანს მოღვაწეობდა ათონის მთაზე, წმინდა ათანასე დიდის ლავრაში. 979 წელს ბიზანტიის სამეფო კარმა თორნიკე ერისთავს სთხოვა შუამდგომლობა დავით კურაპალატთან, რომ ბარდას სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში დახმარებოდა. დავით კურაპალატმა დაითანხმა შუამავალი ბერი იონანე, იგივე ბრწყინვალე სარდალი თორნიკე ერისთავი და ლაშქარი იმისი მეთაურობით გაგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ.

სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ნადავლი, ბიზანტიის ხელისუფლების დაპირებისამებრ, თორნიკემ მიიკუთვნა, ამ სიმდიდრის ნაწილი ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ხოლო უდიდესი ნაწილი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა.

980 წლის მახლობლობაში ბიზანტიის კეისარმა უმადლესი სასულიერო წოდება (სვინგელოზისა) უბოძა თორნიკეს. ოშკის ბიბლია და კირილე ალექსანდრიელის თხზულების „განძის“ ნუსხა გადანიშნული იყო თორნიკეს შეკვეთით.

მოამზადა თაბაზ ეპარქიძე

პოლიტიკური დევნა

უღირსი პრეზიდენტისგან ღირსების ორღუნს ვერ მივიღებდი!

(ამხსენა გვირგვინი)

არსებულ პოლიკლინიკაში განთავსდა ძველი მოზრდილთა საავადმყოფო, ბავშვთა საავადმყოფო, ბავშვთა პოლიკლინიკა, სასწრაფო დახმარების სადგური. პოლიკლინიკის შენობას მიაშენეს ე.წ. „შუშბანდი“ და დაარქვეს სამედიცინო ცენტრი, სადაც ჰოსპიტალი გაიშალა 15 სართულზე. ნორმალური დატვირთვის დროს ერთ ახლადგაშენებულ ივერთა ავადმყოფი, ერთ საოპერაციო ბლოკში კეთდება ჩირქოვანი ქირურგიული ოპერაცია და მშობიარის საკეისრო კვეთა, რაც დიდი დანაშაულია. 12 კვ.მ-ის ფართობში, რაც სტანდარტით გათვლილია ერთი ოჯახის ექიმზე, ზის 4-5 ექიმი, როგორ შეიძლება პაციენტის ხარისხიან მომსახურებაზე საუბარი? აი, ამას ვაპროტესტებდი და ახლა ვაგაპროტესტებ ოფიციალურად, მაშინ, როდესაც ქვეყანაში საუბარია საყოველთაო სამედიცინო დაზღვევაზე და შენ პირველადი ჯანდაცვის ქსელს ანადგურებ, ნებისთნე უნებლიეთ ახორციელებ საბოტაჟს სახელმწიფოს წინააღმდეგ! ამას შეგნებულად აკეთებენ, რათა დაშალონ სისტემა და არ იყოს იმის რეზერვი, რომ სახელმწიფომ დაინაპირებს მალე განახორციელოს.

გათავისუფლების შესახებ ვინ შეგატყობინათ?

სადაზღვევო კომპანიის სამედიცინო ხელმძღვანელმა დავით ოშკერელმა! „ჯეოპოსპიტალის“ სახემ, რომელსაც ჯანდაცვის სისტემაზე წარმოდგენა არ აქვს! მან აგდებით მითხრა, არ ვართ ვალდებული, ყველას პასუხი გავცეთ, ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს, არაუფექტიანი მუშაკი ხართ და ამიტომ გაგათავისუფლებთ! ეს ჩემთვის ძალიან შეურაცხყოფელი იყო!

თაბაზ ჩაჩანიძე

ნკაპალიკა

გვიტევენ ნაცებები — სასწრაფოდ აცრები!..

პოლიტცენტრებისა მე, აბა, რა მიმომხილველი ვარ, მაგრამ კვლავ და კვლავ საზოგადოების რიგითი წევრის (ასეთი ხომ ვარ!) პოზიციიდან მინდა ბოლოსნის ამბებზე გამოხმაურება.

საგაფიცვო ეპიდემია რომ შეგვყვრია და ახალ-ახალ ფენებს მოსდებოდა — მაგალითად, „ყვითელგაყვრილი“ და ბუნტშეყვრილი მძღოლებს (ყვითელი ავტობუსების მესაჭეებებს) უნდა ვკითხო: კი ბატონო, მიიმე, საპასუხისმგებლო ხელობა გაქვთ, რთულ პირობებში გიხდებთ მუშაობა და დიასაც რომ გეკუთვნით უკეთესი ცხოვრება-ყოფა, მაგრამ მთელი წინა წლები (მთელი „ნაცური“ ცხრა წელი) ასე გაუსაძლი-სად არ იყავით? მაშინ სად ბრძანდებოდით, გაფიცვის ტალღა რად არ აგაგორეთ — მერაბიშვილებისა და ახალაიების გეშინოდათ და იმიტომ?..

იგივე კითხვის გამოვრება შეიძლება ფოთელი პორტელებისთვის, ტყეპულელი მემსახტეებისთვის, რკინიგზელებისთვის, მედიკოსებისთვის, ენერჯტიკოსებისთვის... რაო, ბიძინა ივანიშვილი ფლავს არიგებსო და — ყველა მიანყდა? სად იყავით, სად იყავით მაშინ, ის ნაცები რომ გწვდებოდნენ თმაში?..

მრავალტანჯულ დევნილებსაც ესაყვედურებათ — სწორედ იმ ნაცებს ადვილად გამოაყრევინეს თავი ნაირ-ნაირი საცხოვრისიდან და ახლა მოუწდათ ასე მასობრივი „უკუსვლა“? თანაც მათ შორის თალი-თებიც რომ მომრავლებულან — უკვე მიღებულ ფართს რომ ყიდნიან, თურმე, ზოგ-ზოგნი და მარადიულ „უსახურავოდ“ აცხადებენ თავს?..

ნაცთა ხსენებაზე — სასაცილოდ არ გამოიყურება იმათი საპარლამენტო უმცირესობის ქუთაისი-

დან დემარში და თბილისში „ერთსულოვანი“ დაბრუნება? ნაცების რიგებიდან, ბაჩო ახალაიასა და „კომპანიის“ გარდა, კიდევ ბევრი არამზადა დარჩა დაუდგენელი და დაუჭერელი და „პოლიტიკური მხარდაჭერისთვის“ ამ ახალ უმცირესობას ხშირად ხომ არ მოუწევს, „პირობე დედაქალაქიდან“ გამოქცევა? და საერთოდ, მაგ უმცირესობამ სულ რაღაც ერთ თვეში იმდენი ჭუჭყიანი სვლა თუ საქმე მოასწრო, რომ ვფიქრობ, დაიმსახურა „საპარლამენტო უმცირესობის“ მეტსახელი („შეგესხენებათ“, მწვირე — ზოგჯერ ამბობენ, წვირე — სწორედ ჭუჭყს ნიშნავს).

...იმედია, პოსტნაცური ხელისუფლება გამონახავს საგაფიცვო ეპიდემიისთან გასამკლავებელ რეცეპტებსა თუ საშუალებებს და ჩააქრობს მას... არ მინდა, ნაციჭამიად მოეჩვენო ვისმე, მაგრამ „თუ დროზე არ ჩავატარებ აცრები — თავზე კვლავ დაგვასხდებიან ნაცები...“

პირღია პელოძე

მოგვარებაზე, გვიკითხვიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო კომპენსაცია. მომეცემა თუ არა იგი საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების შემთხვევაში?

მანანა საგუშია

პასუხი: არა, არ მოგეცემათ — პირს, რომელსაც დანიშ-

ნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, მისი მიღება უწყდება საჯარო საქმიანობის დაწყების დღიდან, მისი განხორციელების მთელ პერიოდში.

მოგვართეთ, შავგვიკითხეთ: 299-62-77.

დედაქალაქი

რას გვირდის ბოვანთა ბანაკი?

თქმცა კი „დეზერტირების ბანაკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოვაჭრეებს საცალო ვაჭრობის წესების დაცვას აიძულებენ, რაც აქამდე გაბატონებული ანტი-სანიტარიის მოსახლეობად უწინარეს გადასადგმელი ნაბიჯი იყო,

შემდეგ პირველ ხანებში გარემოვაჭრეებმა ქუჩაში დახლებსა და საქონლის გამოტანა ჯერ მორიდებით დაიწყეს, ახლა ამან ნელ-ნელა ორგანიზებულის მსგავსი სახე მიიღო. ბოლო დღეებში თბილისის სხვადასხვა უბანში ათას-

რიდის, მეტროს სხვა სადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე, მაგრამ ყველას, როგორც ჩანს, მეტროს სადგურ ახმეტელთან ბოშების მიერ ახლახან გამართულმა ბანაკმა „მოუფოკრა“. აქ ერთბაშად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სრულიად ორგანიზებულად, უამრავი წვრილმანით მოვაჭრე ბოშა გამოვიდა თავისი „დაცვის სამსახურის“ თანხლებით და სახელდახელო ბაზრობა ისე მოეწყო, ხალხს მეტროში თავისუფლად ჩასვლა-ამოსვლის შესაძლებლობა უაღრესად შეზღუდდა. ნაშუადღევს კი ამ ადგილზე სულ რამდენიმე პოლიციის თანამშრომელი იმყოფება, რომლებსაც აღუფრთხვავებლად მოქალაქეთა მიმართებულ მხოლოდ ერთი პასუხი აქვთ – ამდენ ხალხს ჩვენ ვერაფრით მოვუვლით, საამისოდ ათჯერ მეტი მაინც უნდა ვიყოთ. ჰოდა, იქნებ გაავაგებინოთ, რას ფიქრობენ ამის თაობაზე რაიონების გამგებლობები, ქალაქის მესვეურნი?



დედაქალაქის სხვადასხვა უბანში სავაჭრო ვითარება ისევე ადრე არსებულ ქალაქურ მდგომარეობას უბრუნდება. თუ ოქტომბრის არჩევნების

ბით, ქალის, მამაკაცის თუ ბავშვის წინდებით, ხილით მოვაჭრენი – მანდარინით, ხურთით და ა. შ. – ახლაც იგივე საქონლით ვაჭრობენ. ასეა მარჯანიშვილის, გოცი-

ნიმო ალექსანდრიძე ილგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ჩვენი პრესდაიჯესტი

გაყმინჯაუნი ვახუსეიძის



რკინიგზაზე ხელმძღვანელობის კონკურსის გზით არჩევას ითხოვენ

საქართველოს რკინიგზის ასოციაცია ახალი ხელისუფლებისგან რკინიგზის ხელმძღვანელობის კონკურსის გზით არჩევას ითხოვს. ამ პოსტზე უპირატესობა დარგის გამოცდილ სპეციალისტს უნდა ენიჭებოდეს, რაც ბოლო წლების განმავლობაში იგნორირებული იყო. ასოციაციის ხელმძღვანელი ვალერიან მაყიშვილი იმედოვნებს, რომ ადრინდელ შეცდომებს ახალი მთავრობა არ დაუშვებს და კადრების შერჩევა-დაკომპლექტებას დემოკრატიული მეთოდით, კონკურსის საფუძველზე მოახდენს.

გალეღას 2-თვიანი იზოლაცია ემუქრება

გალში მცხოვრები ქართველები ორთვიანი იზოლაციის მოლოდინში არიან. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ბოლო 3-4 დღის განმავლობაში ე.წ. საზღვართან რუსი სამხედროების განსაკუთრებული სიჭარბე შეინიშნება, გადათხრილია თით-



ქმის ყველა ის გზა, რომლითაც გალის რაიონის ქვემო და ზემო ზონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიოდა. „ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ მალე ოკუპანტები ენგურის ხიდის დაკეტვასაც აპირებენ. გვაშინებენ, რომ არ გადმოვიდეთ და კავშირი საერთოდ გავწყვიტოთ დანარჩენ სოფლებთან“, – ამბობენ ადგილობრივები.

„რაზონანსი“

„გამხნეობით, ყველაფერი დროებითია“

– ასე აიხსნება „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაპატიმრებულებს ყოფილი კულტურის მინისტრი ნიკა რურუა, – ვფიქრობდი, თუ როგორ გამომეთქვა ჩემი პოზიცია ბაჩო ახალაიას და გიგი კალანდაძის დაპატიმრების გამო. და ყველაზე კარგი პასუხი ისევ უინსტონ ჩერჩილთან ვიპოვე – „გვყავს მტრები? კარგია. ეს ნიშნავს, რომ შენ რაღაც ღირებული დატყვევდა გიცივია ცხოვრებაში“. ასე რომ გამხნეობით, ყველაფერი დროებითია.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კაღრი



დალი ხუნდაძე

თავის მოვლა

საუბედროსო გამწვავება

ტკივილს მუხლის სახსრში ადამიანის დიდი ხნით მწიფობიდან გამოვყვანა შეუძლია. წლის ცივ დროს კი ასეთი უსიამოვნებები უფრო ხშირად ხდება სოლმე...

თარი დიეტის კალციუმით გამდიდრება. ყველაზე უკეთ ორგანიზმის მიერ მისი ათვისება ცხიმოვანი რძიდან და უცხიმო რძის პროდუქტებიდან ხდება. კალციუმით მდიდარია ასევე თევზის რამდენიმე სახეობა, განსაკუთრებით ბევრია იგი სამანკებში, კიბორჩხალებში, აგრეთვე ისპანახში, ოსრახუსა და სურმაში.



თანამედროვე ადამიანს თავისი მთავარი საყრდენი – ხერხემალი მუდამ ზედმეტად აქვს დატვირთული. პიპოდინამიის, გაუვარჯიშებელი სუსტი კუნთების ფონზე ნერვულ სტრესებს, სიცივეს, სიმძიმეების აწევასა და გადატანას, მაგიდასთან, კომპიუტერთან, მანქანის საჭესთან სტატიკურ პოზაში ჯდომას მრავალი ნეგატიური შედეგი მოყვება. ხერხემლის მდგომარეობა ცუდდება მოქმედებს სხვა, მათ შორის, მუხლის სახსრებზე.

სეხულის ჭარბი ნონა – ესეც დამატებითი ტვირთია, რომლის ატანა ხერხემალსა და სახსრებს გამუდმებით უხდება. ჭარბი ნონის დაკლებაში დიდ სამსახურს გაგინებთ დიეტა უბრალო ნახშირწყალბადების მკვეთრი შეზღუდვით (მათ შორისაა შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, თეთრი პური), კიდევ ცხიმები. ყველაფერთან ერთად საჭიროა ფიზიკური დატვირთვის მკვეთრი მომატება.

ვთქვათ, წაიბორძიკეთ, ანდა გუბებს უხერხულად გადაახტით და მუხლში მკვეთრი ტკივილი იგრძენით. სათანადო ზომები უმალ უნდა მიიღოთ. ზურგიით ხეს ან კედელს მიეყუდეთ (შეგიძლიათ სკამზე დაჯდეთ), სახსარი მობართ და მუხლს გვერდიდან ხელები მოუჭირეთ. ახლა ფეხი, თავისუფლად გააქანეთ წინ და უკან, შემდეგ ცოტა ხანი შეისვენეთ და ვარჯიში ისევ გაიმეორეთ. შემთხვევათა უმრავლესობაში ეს მარტივი მოქმედებები ტკივილს დაგიაჩნებთ. მუხლის სახსრის ართროზის გამძაფრებისას კი ასეთი ქნევითი მოძრაობები, თუკი მათ დღის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეორეთ, ძალიან კარგ შედეგს მიიღებთ.

ასრულებენ, რა დროსაც მუცლის ზედა ნაწილის ქვეშაბალიში იდებენ. ყოველდღიურად ისეირნეთ – თავდაპირველად მოკლე მანძილზე და ნელა, თანდათანობით უფრო დააგრძელეთ თქვენი მარშრუტი და ტემპსაც მოუმატეთ. ამასთან, ეცადეთ სიმძიმეთა აწევასა და გადატანას თავი მოარიდოთ, ხოლო თუკი ტვირთის აწევა მაინც გინებთ, ეს სწორად გააკეთეთ: მინიდან სიმძიმის აწევისას ფეხები მუხლებში მოდუნეთ და ოდნავ ჩაჯექით, ზურგი კი სწორად გეჭიროთ. სიმძიმის ჩატყუქულად აწევის დროს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზურგის გასწორება, რა დროსაც დატვირთვის უმეტესი ნაწილი თქვენთვის კუნთებზე მოდის.

წლის ცივ და ნესტიან დროს თავის დაზღვევა „შიგნიდანაც“ შეგიძლიათ. საამისოდ დიეტა გააძლიერეთ, უფრო მეტად მიიღეთ B გჯგუფის ვიტამინები, რომლებიც ნერვების ფესვებისა და სახსრების სრტილების ზედაპირების კვებას უწყობენ ხელს. ყოველდღიურ რაციონში შეიტანეთ მარცვლეულის პური, მთლიანი ბურღულეულის ფაფები, ღვიძლი და სხვა სახსურსათი, ახალი რძე, გამხმარი სოკო, ყველი. ზოგადად, ეცადეთ საკუ-

დალი ხუნდაძე

ანეკდოტები

ბრჩივანბზი იმას რომ უფრიდნენ კენჭს, თუ რომელი დეპუტატია დასაჭერი, საარჩევნო ურნებთან ამომრჩეველთა თითქმის ასი პროცენტი მივიდოდა.

ლი სწორედ მასზე იხარჯება მთელი ფული.

დაიხსომე, ივანე, ყველაზე ძვირფასიანი მეძავი არის კანონიერი ცო-



ბანცხბაძემა ზოობარკში: „ნუ გადაუყრით დელფინებს ბანანებს. ჯერ ერთი, ისინი მათ არ ჭამენ, მეორეც, მშვიერი მაიმუნები აუზში სტიებიან და იხრჩობიან.

მთვრალი მძღოლი იმას, რომ სვეტაფორის იმ ფერზე არ გაუვლია, მაშინ მისჯდა, როდესაც პეტრე მოციქულმა გააჩერა.

Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact information, subscription rates, and a barcode.